# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

სამშაბათი 4 დეკემბერი №135 (11621) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო

## სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს ბატონ დ. ტ. იაზოვს

საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა კორპუსი დიდ აღშფოთებას გამოთქვამს ცენტრალური ტელევიზიით თქვენი გამოსვლის გამო. გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ თქვენ არ გინდათ დაუშვათ სუვერენული რესპუბლიკების წმინდა უფლება დაიცვან თავიანთი საზღვრები.

თქვენ უცხოეთის ქვეყნების მხარდაჭერას ეძებთ, როდესაც აცხადებთ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ჯარების შექმნის შემთხვევაში სსრ კავშირში არსებული ბირთვული იარაღი 15 რესპუბლიკას უნდა გაუნაწილდეს; თუმცა, მოგეხსენებათ, რომ ეს ასე არ არის. ოფიცერთა კორპუსს მიაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკას არ უნდა ჰქონდეს და არ უნდა განაგებდეს თავის ტერიტორიაზე არავითარ ბირთვულ, ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს და მოუწოდებს სხვა ქვეყნებს მიბაძონ მის მაგალითს.

თქვენ წუხართ იმის გამო, რომ არ იცით რესპუბლიკებიდან სად გაიყვანოთ ჯარები. ბატონო მარშალო, რა საჭიროა მათი გაყვანა? ისინი ნელ-ნელა უნდა გარდაიქმნან რესპუბლიკების ჯარებად. ვერც ერთი რესპუბლიკა ვერ იქნება სუვერენული საზღვრების, კანონებისა და შეიარაღებული ძალების გარეშე.

ზემოთ თქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თქვენ ცდილობთ სამხედრო საკითხში თქვენი პოლიტიკით განამტკიცოთ იმპერიის ტოტალიტარული რეჟიმი. მაგრამ ასეთი პოზიცია წამგებიანია.

სულ უფრო მზარდ დემოკრატიულ გარდაქმნებს რესპუბლიკებში ველარ შეაჩერებთ!

საქართველო „აული" არ არის, იგი 5,5 მილიონიანი სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც უახლოეს მომავალში დამოუკიდებელი გახდება.

**საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა კორპუსი.**

**1990 წლის 25 ნოემბერი**

## ქრონიკა, ინფორმაცია

**სოხუმის** საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკაში" გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც განიხილეს 27 ნოემბერს გუდაუთაში, ცენტრალურ გზატკეცილზე მომხდარი სამარცხვინო ფაქტი, როცა ხელი აღმართეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე ილია მეორეზე. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გმობენ ამ ვანდალურ აქტს, პროტესტს უცხადებენ აფხაზეთის მთავრობას და მოითხოვენ, გამოავლინონ და დასაჯონ დამნაშავენი.

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ **არჩილ არჩილის ძე ჰირაქაძე** დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ.

**2 დეკემბერს** დაიწყო „მხედრიონის" წევრთა შიმშილობა.

**30 ნოემბერს** დაიდო ეკონომიკური და კულტურული ხელშეკრულება უკრაინის სს რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის. დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომლობას საერთო ეკონომიკურ პრობლემებს, საფინანსო-საკრედიტო სისტემის, სოფლის მეურნეობის, სოციალურ სფეროს, ეროვნული კულტურის, მეცნიერების, ეკოლოგიის, მოსახლეობის მიგრაციის, სამართლებრივი დახმარების დარგში და სხვა.

**7 დეკემბერს** გაიმართება საქართველოს კპ XXVIII ყრილობა, მეორე ეტაპი.

**როგორც** სს „საქართველო" გვამცნობს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის წინადადება და ბეჭდვითი სიტყვის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციაში გაატარა გაზეთები „ახალი საქართველო", „სახალხო განათლება" და „ზარია ვოსტოკა", როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოები.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთი „ახალი საქართველო" გამოვა ახალი სახელწოდებით — „საქართველოს რესპუბლიკა".

**სან-ფრანცისკო.** კალიფორნიის ბიოტექნოლოგიური კორპორაციის „ჯენიტეკის" მკვლევარები შეუდგნენ ახალი ვაქცინის გამოცდას, რომელიც შიდსის ვირუსით დაავადებულ ადამიანთა სამკურნალოდ არის გათვალისწინებული. მაიმუნებზე დაყენებულმა ცდებმა ცხადყო, რომ ახალ პრეპარატს, რომელსაც „ჯი-პი-120" უწოდეს, შეუძლია აღადგინოს შიდსის დაავადების შედეგად დაკარგული ადამიანის იმუნური სისტემის უნარი.

## შანსელებს

ოთხშაბათობით საგაზეთო კიოსკებთან უზარმაზარი რიგი რომ დგება, ეს თქვენი დამსახურებაცაა. თითქმის ნახევარი ხომ სწორედ თქვენი გაზეთის ყიდვის შანსს უცდის (მეორე ნახევარი, ცხადია, „ახალგაზრდა ივერიელისთვის" იმტვრევს თავს). არცთუ დიდი ხნის წინ დაარსებული გაზეთისთვის ასეთი პოპულარობა, დღევანდელი გამძაფრებული კონკურენციის პირობებში, ცუდი არ უნდა იყოს.

ამბობენ, 1 წლის ბავშვს დაბადების დღეს არ უხდიანო (თუმცა, ზოგჯერ ისეთ თემებსაც ეხებ-თ, თქვენზე ბავშვობა უკვე აღარც ითქმის). ალბათ, ამიტომაც გადაიწია მთელი ერთი წლით საზეიმო ბანკეტმა. მაგრამ მილოცვას წინ რა უდგას და „ახალგაზრდა ივერიელის" კოლექტივიც გილოცავთ მოკრძალებულ იუბილეს, მკითხველებს კი ვუსურვებთ, არასოდეს გაეშვათ ხელიდან „შანსის" მიღების შანსი.

**ახალგაზრდა ივერიელის კოლექტივი**

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს

**იმპერია** სულს ღაფავს, მაგრამ არ სურს სიკვდილი. უფრო მეტიც, იგი შეტევაზე გადმოვიდა. ამის მაჩვენებელია ერთი მხრივ „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების" პროექტი, რომელშიც საზეიმოდაა განცხადებული კავშირში შესვლის ნებაყოფლობითობა, ხოლო მეორე მხრივ სსრ კავშირის პრეზიდენტის განცხადებები, რომ ჩვენ ვერ გავიყოფით, კავშირი არ დაიშლება, ვინც კავშირიდან გასვლას ლამობს, ის ავანტიურისტია. უფრო მეტიც, ომით იმუქრება, ხოლო სამხედროები უკვე აჟღარუნებენ იარაღს.

დაძაბულობა სსრ კავშირში კრიტიკულ წერტილამდეა მისული. სულ პატარა ნაპერწკალი და აფეთქდება დენთის კასრი, რომელზეც ჩვენ ყველა ვსხედვართ.

ასეთ ვითარებაში საქართველოში ჩვენი „საკუთარი" დენთის კასრებიც გვაქვს. ერთია ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გამწვავება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენელთა განცხადებები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ტრიბუნიდან, რომ მათ სურთ სსრ კავშირის შემადგენლობაში დარჩენა, და ესაა პრეზიდენტ მ. გორბაჩოვისადმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას წერილის ფონზე, სადაც ნათქვამია, რომ საქართველო არ მოაწერს ხელს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

მეორე დენთის კასრია უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს შორის ურთიერთობაში დაძაბულობა, დაპირისპირება ყველა იმ ძირითადი პრობლემის მიხედვით, რომელთა გადაჭრასაც ლამობს ახალი ხელისუფლება.

ეროვნულ ძალთა ასეთი დაპირისპირება დღეს დამღუპველია საქართველოსათვის.

ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე, 30 სექტემბრიდან 11 ნოემბრამდე ორჯერ გამოხატა თავისი ნება და აირჩია ეროვნული კონგრესიც და უზენაესი საბჭოც, ხმა მისცა იმ პარტიებს, რომლებიც გადაჭრით იბრძვიან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

მაშ, ჩვენი სამშობლოს ისტორიული მობრუნების დღევანდელ ურთულეს ეტაპზე უზენაესმა საბჭომ და ეროვნულმა კონგრესმა გაუწოდონ ხელი ერთმანეთს, გადადგან ნაბიჯები ერთიმეორის მიმართულებით, შეკავშირდნენ და შეთანხმებულად იმოღვაწონ ერის დიადი მიზნის მისაღწევად.

ხოლო ჩვენ, ყველა პარტია და კავშირი, რომლებიც უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის გარეთაა, ასევე უნდა გაერთიანდნენ და შეკავშირდნენ ორივესთან.

დღეს არ არის ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევის, მით უფრო ანგარიშების წარდგენის დრო. ჩვენ ახლა გამოსავალი არ გვაქვს, მოსალოდნელია კატასტროფა. თუ არ შევთანხმდებით, შთამომავლობა არ გვაპატიებს.

მოვუწოდებთ უზენაეს საბჭოს და ეროვნულ კონგრესს, დანიშნონ დელეგაციები ერთმანეთთან მოსალაპარაკებლად თანამშრომლობის ფორმებისა და პირობების შესახებ.

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი მზადაა მონაწილეობა მიიღოს ასეთ მოლაპარაკებაშიც და თანამშრომლობაშიც.

**საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის სახელით**

**ვალერიან ადვაძე**

**მიმართვა წაკითხულ იქნა საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიაზე 1990 წლის 1 დეკემბერს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ინვესტიციები

## (მითები, სინამდვილე, პერსპექტივები)

**საქართველოს** რეალური დამოუკიდებლობის მოპოვება და შენარჩუნება მტკიცედაა დაკავშირებული მისი ეკონომიკური პოტენციალის მდგომარეობასთან. ეს გასაგებიცაა. იქ, სადაც არ არის განვითარებული ეკონომიკა, არ არის არც დამოუკიდებლობა, არც დემოკრატია, არც სოციალური სამართლიანობა. ამ მხრივ რესპუბლიკის მეურნეობა მართლაც რომ სავალალო მდგომარეობაშია. მართვის ყაზარმულმა სისტემამ ისე მოშალა მისი ყველა სფერო და მექანიზმი, რომ ხელჩასაჭიდი არაფერია და ყველაფრის აშენება და კეთება ფაქტიურად ნულიდან უნდა დაიწყოს.

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა თავის მხრივ მოითხოვს საკმარისად დიდი მოცულობის ფინანსურ რესურსებს. ჩვენი აზრით, რესპუბლიკის იმ დონემდე მიყვანას, რა დონეც ამჟამად ინდუსტრიულად მოწინავე ქვეყნებშია, დასჭირდება დაახლოებით 40-50 მილიარდი დოლარის ტოლფასი საკუთარი და მოზიდული კაპიტალური დაბანდებები (რა თქმა უნდა, გამართული სამეურნეო მექანიზმისა და ეროვნული ენერგიის მაქსიმალური კონსოლიდაციის პირობებში). სამწუხაროდ, დღეისათვის რესპუბლიკას ამ მხრივ ძალზე მძიმე მდგომარეობა აქვს, ხაზინა ცარიელია, ხოლო მისი შევსების წყაროები — დაშრეტილი. თუმცა საიდან იქნება ფინანსური რესურსები, როცა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, მისი ცალკეული დარგები ან ზარალით მუშაობენ, ან სადოტაციო ინექციების ხარჯზე არსებობენ. შესაბამისად დაუბალანსებელია რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიც, რომლის დეფიციტი ბოლო დრომდე 20-25% შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1991 წლიდან ცენტრი აღარ მოახდენს სხვადასხვა ფასთა სხვაობების დოტირებას, მაშინ ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება და მიაღწევს 50-60%-ს, რომლის ლიკვიდაციის, ან შემცირებისათვის, ან ფასები უნდა გაიზარდოს, ან გადასახადები, ან ფულის ემისია, ანდა შეიკვეცოს ისედაც „მათხოვრული“ ხარჯები განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, კულტურაზე, სპორტზე, ეკოლოგიაზე და ა. შ., რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ხალხი ისედაც გაღატაკებული და დამშეულია და მის ხარჯზე აღნიშნული ტვირთის გადადება არც ეკონომიკურად იქნება სწორი, არც პოლიტიკურად და არც ზნეობრივად.

ზოგიერთის აზრით, რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას მოსახლეობის დანაზოგები (დაახლოებით 9 მილიარდი მანეთის ანაბარი) და საწარმოების და ორგანიზაციების ის თავისუფალი სახსრები, რომლებიც მათ ანგარიშსწორების ანგარიშებსა და მიმდინარე ანგარიშებზეა. რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი, რადგანაც აღნიშნული თანხები დანაზოგებია არა დანაზოგების საყოველთაო გაგებით, არამედ იმის გამო, რომ არც მოსახლეობას, არც საწარმოებს არ შეუძლიათ შეიძინონ რაც მათ სურთ, არნახული დეფიციტისა და ინფლაციის გამო, და შესაბამისად დანაზოგებიც ხელოვნურია...

...ასე რომ, რესპუბლიკის ახლადარჩეულ პარლამენტს და იქ გასულ პატრიოტულ ძალებს უაღრესად მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა საპატრონოდ და სამართავად „მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ“.

მაგრამ, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს მდგომარეობა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს მის გამოსასწორებლად და საქართველოს ნათელ მაგისტრალებზე გასაყვანად, მისი ეკონომიკის გასაძლიერებლად, სოციალური ყოფის განსავითარებლად.

ასეთ ვითარებაში დაფინანსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ უნდა გამოვიყენოთ უცხოური ინვესტიციები და კაპიტალური დაბანდებანი. აღნიშნული გზა და მეთოდი ძალზე ნაცადი და ბევრჯერ გამოყენებული ხერხია მსოფლიო პრაქტიკაში. მეორე მსოფლიო ომისა და სხვა გლობალური პერტურბაციების შემდეგ აღნიშნული მეთოდი ფართოდ გამოიყენეს საკუთარი ეკონომიკების აღდგენა-განვითარებისათვის დასავლეთ გერმანიამ, იაპონიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ტაილანდმა, ტაივანმა, სამხრეთ კორეამ, სინგაპურმა, ჰონკონგმა და სხვებმა. მიუხედავად ამ გზით თავიანთი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისა, აღნიშნულ და სხვა ქვეყნებში კვლავაც აგრძელებენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და მათ ახალ-ახალი სამეურნეო და სოციალური ამოცანების გადაჭრისათვის იყენებენ. ასე იქცევა თვით აშშ, რომელიც მიუხედავად მისი ეკონომიკის მაღალგანვითარებისა შეუჩერებლად ეწევა უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რომელთა საერთო მოცულობამ აღნიშნულ ქვეყანაში 1990 წლის დასაწყისისათვის შეადგინა თითქმის ნახევარი ტრილიონი დოლარი. მარტო 1989 წელს აშშ-ში სხვადასხვა ქვეყნების ფირმებმა, კომპანიებმა, ცალკეულმა პირებმა დააბანდეს 30 მილიარდი დოლარის კაპიტალი. ასევეა გფრ-ში, ინგლისში, სამხრეთ კორეაში, სინგაპურში და სხვ.

ასე რომ, საქართველოს წინა აქვს ცივილიზებული მსოფლიოს და მისი წამყვანი ქვეყნების დადებითი გამოცდილება. მას შეუძლია აიღოს კრედიტები და მოიზიდოს ინვესტიციები არამარტო ცალკეული ქვეყნებიდან და ფირმებიდან, არამედ სხვა ბევრი საერთაშორისო და რეგიონალური სავალუტო, საკრედიტო, საფინანსო და სხვა სახის დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთო ბაზრის ეკონომიკური ინსტიტუტები და ა. შ.).

სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის არაინფორმირებულ ნაწილში (ბევრ იმათშიც, ვინც ინფორმირებულად თვლის თავს) გავრცელებულია მითი უცხოური ინვესტიციების ნეგატიურობის შესახებ. მათი აზრით უცხოური კაპიტალის რესპუბლიკაში შემოშვების შემთხვევაში „რესპუბლიკა მოექცევა ინვესტიტორი ქვეყნების კაბალის ქვეშ“, „გაიყიდება საქართველო“, „დავეკარგება ეროვნული სახე“ და ა. შ. რა თქმა უნდა ასეთი მსჯელობები არ არის სწორი. დღეისათვის მსოფლიოში არ არის არცერთი ასე თუ ისე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, რომ მას მოზიდული არ ჰქონდეს უცხოური ინვესტიციები და არ იყენებდეს მათ თავისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის. და თანაც, რაც უფრო განვითარებულია ესა თუ ის ქვეყანა მით უფრო მეტი უცხოური კაპიტალია მის ეკონომიკაში დაბანდებული და პირიქით, — თავადაც ბევრი კაპიტალი აქვს დაბანდებული სხვა ქვეყნებში. დასავლეთ გერმანიამ, თავისი ეკონომიკა აშშ-ს კაპიტალების მოზიდვით განავითარა, მაგრამ ამის გამო ის აშშ-ს კაბალაში არ მოქცეულა და არც ეროვნული სახე დაუკარგავს. პირიქით, ისე გაძლიერდა, რომ თავად აშშ-ს დაუწყო კონკურენციის გაწევა საკუთარ ბაზრებზე და თავისი უდიდესი ეროვნული პრობლემაც გადაწყვიტა — შემოიერთა თავისი ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილი გდრ-ს სახით. ასე რომ, უცხოურ ინვესტიციებს და კაპიტალდაბანდებებს, მათი გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, მხოლოდ სიკეთე და კეთილდღეობა მოაქვს იმპორტიორი ქვეყნებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ინვესტიციებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მარტო ჩვენებური, ქართული მოვლენა როდია, მათ წინააღმდეგაა განწყობილი მოსახლეობის საკმაოდ ფართო ფენები თითქმის ყველა ქვეყანაში (განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი ფენები). აშშ-ს საქმიანი წრეების ჟურნალის „ბიზნეს-უიკის“ ცნობით ამერიკის მოსახლეობის 77% უარყოფითადაა განწყობილი უცხოური ინვესტიციებისადმი, მაშინ როცა ქვეყნის მმართველი წრეების და საქმიანი ადამიანების 80% უცხოურ ინვესტიციებს დადებითად ეკიდება და ხელს უწყობენ მათ ამერიკაში მოზიდვას...

...ასე რომ, რესპუბლიკაში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და მათ პრიორიტეტულ დარგებში დაბანდებას (სხვათა შორის, ამ ბოლო დროს გორბაჩოვი რომელ ქვეყანაშიც არ ჩავიდა, ყველგან ინვესტიციები და კრედიტები მოითხოვა და მიიღო კიდეც საკმარისად დიდი რაოდენობით. მაგრამ იქიდან ჩვენს რესპუბლიკას რამდენი ეკუთვნის, ან რამდენი გამოეყოფა არავინ იცის, არადა ამას ძალზე დიდი ფინანსური მნიშვნელობა აქვს, რომ აღარაფერი არ ვთქვათ მის სხვა ასპექტებზე).

რა თქმა უნდა, უცხოელმა ინვესტიტორებმა თავისი კაპიტალები რომ დააბანდონ ჩვენს რესპუბლიკაში მათ ამისათვის ხელსაყრელი პირობები უნდა დაინახონ. იმისათვის, რომ „საქართველოს ძალიან უჭირს“ ინვესტიციებს არავინ არ გაიმეტებს. ამიტომ მათ აუცილებლად უნდა შევუქმნათ სათანადო პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტიები. მათ უნდა იცოდნენ რომ მათ კაპიტალებს არავინ ხელს არ ახლებს და რომ ინვესტიციებზე მიიღებენ სათანადო შემოსავალს მოგების ან დივიდენდის სახით. ამისათვის აუცილებელია შეიქმნას სათანადო კანონმდებლობა. პირველ ხანებში საჭირო იქნება მათთვის წამახალისებელი შეღავათიანი პირობების დადგენა, გადასახადების შემცირებული განაკვეთების დაწესება, მოგების უცხოეთში გატანის გაიოლება და ა. შ. და ა. შ. თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს ეს ყველაფერი და როგორი ტექნოლოგიით, ამაში ყველაზე კარგად დაგვეხმარება სამხრეთ კორეის, ტაივანის, ჰონკონგის და სინგაპურის გამოცდილება, რომლებიც თავის დროზე იმყოფებოდნენ რა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების უაღრესად დაბალ დონეზე სწორი საინვესტიციო და ტექნოლოგიური პოლიტიკის შედეგად გადაიქცნენ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ „სახელმწიფო-დრაკონებად“. სამხრეთ კორეის ეკონომიკის ერთ-ერთი ცნობილი ექსპერტი ეხებოდა რა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების მექანიკას, აცხადებდა: „საკუთარი ფინანსური რესურსების უქონლობამ გვიბიძგა მოგვეზიდა უცხოური ინვესტიციები (ჩვენ რესპუბლიკასაც არა აქვს სათანადო ფინანსური რესურსები — ლ. ქ.); შინაგანი ბაზრის შეზღუდულობამ ორიენტაცია აგვაღებინა საექსპორტო საქონლის წარმოებაზე (შეზღუდულია ჩვენი შინაგანი ბაზარიც — ლ. ქ.). დაბალი შრომის ნაყოფიერების პრობლემის გადაწყვეტისათვის მივმართეთ მასობრივი წარმოების ტექნოლოგიას (შრომის ნაყოფიერება ჩვენთანაც ძალზე დაბალია — ლ. ქ.), საკუთარი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის შევიძინეთ უცხოური ტექნოლოგიები (ჩვენც ასევე ჩამორჩენილები ვართ ტექნოლოგიებშიც — ლ. ქ.); ადგილობრივი ნედლეულის უქმარისობამ გვაიძულა საზღვარგარეთიდან შემოგვეტანა იგი და იმპორტი აგვენაზღაურებინა მისგან დამზადებული საქონლის ექსპორტით (არც ჩვენ ვართ ნედლეულით განებივრებული — ლ. ქ.)“... მართლაც რომ ქრესტომატიული მოდელი და მატრიცაა ყველა ჩამორჩენილი ქვეყნის აღორძინებისათვის, მისი ეკონომიკის სწორად მოწყობისათვის. ამისათვის მთავარია პროფესიონალის პოზიციით მივუდგეთ ვითარების დადგენას, სახელმძღვანელოდ ავიღოთ სამხრეთ კორეული „მატრიცა“ და დასახული ღონისძიებანი თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად იქნეს ცხოვრებაში გატარებული...

ფაქტიურად ღონისძიებათა იგივე კომპლექსი განახორციელა სინგაპურმაც, რომელიც ტერიტორიის სიდიდით თითქმის ათჯერ ჩამორჩება საქართველოს (ფართობით ის უფრო პატარაა, ვიდრე საქართველოს ისეთი პატარა რაიონი, როგორიც თიანეთია), მოსახლეობის რაოდენობით — ორჯერ, ხოლო ბუნებრივი რესურსებით და წიაღისეულით შედარებაც კი არ შეიძლება. და ასეთი ქვეყანა, რომლის მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალების 80% უცხოური ინვესტიციებია (გფრ-ში იგივე მაჩვენებელი 30%-ია), ეკონომიკურად ისე ძლიერია, რომ საგარეო ბაზრებზე გააქვს იმაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე სუპერგიგანტ ქვეყანა საბჭოთა კავშირს და ფინანსურად ისე მდიდარია (ლიკვიდური), რომ ასეული მილიონობით დოლარის კრედიტებს აძლევს ფინანსური კრახის წინაშე მდგარ იმავე საბჭოთა კავშირს...

ასე რომ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არა თუ სასურველია, არამედ აუცილებელიცაა. მაგრამ ეს რომ განხორციელდეს, აუცილებელია რესპუბლიკამ გაატაროს დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი გარეშე ძალების ჩარევისაგან და დაფუძნებული იქნება თავისუფალი საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე.

**ლევან ქისტაური,**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის „ფულის, ფინანსებისა და კრედიტის“ სექციის ხელმძღვანელი.**

# პასუხის პასუხი

ჩემს წერილში „მანდატის ერთგულების გამო“ („ახალგაზრდა ივერიელი“, 20 ოქტომბერი) საკმაოდ შერბილებულად მოვუთხრობდი მკითხველებს ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის მილიციის თანამშრომელთა ერთი ჯგუფის, კერძოდ კომპარტიიდან გასულთა წინააღმდეგ ორგანიზებული პროვოკაციული აქციის შესახებ.

აგვისტოში მილიციის ქვეგანყოფილებაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, პარტიულ კრებაზე გაუქმდა პარტორგანიზაცია. ამის გამო მაღალი თანამდებობის ერთ-ერთმა ახალდანიშნულმა პირმა პირველივე თათბირზე შეურაცხყოფა მომაყენა და სამსახურიდან განთავისუფლება აღმითქვა. მეორე დღესვე ბატონმა შოთა ძნელაძემ თავისთან დაიბარა პარტიიდან გასული ყველა თანამშრომელი, თავისთავად ცხადია, არა მამაშვილური საუბრისათვის. ამიტომაც გამოვაცხადეთ გამაფრთხილებელი გაფიცვა, რაც ჩვენს მიერ სამოქალაქო ტანსაცმლის ჩაცმაში გამოიხატა. ამასთან, ვითხოვეთ ანგარიშსწორების შეწყვეტასა და შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრას. ეგ იყო და ეგ. ჩვენს მოვალეობას ძველებურად ვასრულებდით. ასე რომ, ბატონ შოთას „ზრუნვა“ უმილიციოდ დარჩენილ მცხოვრებლებზე, დემაგოგიაა.

ბევრი ცოცხალი მოწმე ჰყავს გაფიცვის გამოცხადების შემდეგ ჩემს კაბინეტში შემოჭრილ ბატონ შოთას პირველ სიტყვებს. ამას მისი ქვეშევრდომების მხრიდან სხვა შეურაცხყოფაც მოჰყვა, მაგრამ გაფიცულებმა ყოველმხრივ შეიკავეს თავი.

რაც შეეხება ადრე ჩემს მიერ პარტიული სინდისის ფიცს, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში დაყენებული ოსხოვნით ჩარიცხვას, ამომრჩევლებთან კითხვა-პასუხს — ყოველივე შოთა ძნელაძის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია. და ამაზე საუბარიც არ ღირს.

თუმცა ფანტაზია განსაკუთრებით ფრთებს შლის, როცა ბატონი შოთა მოგვითხრობს არარსებულ კრებებზე, რომლებზეც იგი და შს სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაციის სურვილს გამოთქვამდნენ. და „უნებლიედ“ ავიწყდება ცოტა ხნის წინათ ჩატარებული ოპერატიული თათბირი, რომელზედაც თანამშრომლებს აუწყა, საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად პარტიიდან გასული პირები დაუყოვნებლივ უნდა განიდევნონ ორგანოებიდან, როგორც არასაიმედონიო. მე ამის თაობაზე ოფიციალური შეკითხვა გავუგზავნე საკავშირო მინისტრს. პასუხად მივიღე, რომ ასეთი მოსაზრება არ გამოთქმულა.

სამაგიეროდ, რესპუბლიკაში სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაციისა და დეიდეოლოგიზაციაზე პირველი მიმართვის გამოქვეყნების სურვილს „ზემოდან“ მკაცრი რეაქცია და მუქარა მოჰყვა. ამის გამო ორი ჩემი თანაავტორი იძულებული გახდა კიდეც, უარი ეთქვა მიმართვისათვის ხელმოწერაზე. მაგრამ იგი მაინც დაიბეჭდა. მალე ბატონმა შოთამ სასტიკი საყვედური გამომიცხადა (ცხადია, სხვა მოტივით). მიმართვა რამდენჯერმე გავიმეორეთ. პასუხად მხოლოდ შს სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილის ვ. ცაგარეიშვილის ლვარძლიანი წერილი დაიბეჭდა „მებრძოლ გუშაგში“. სად იყვნენ მიმართვის სხვა ადრესატები? თურმე, ნუ იტყვით, მრავალპარტიულ არჩევნებს ელოდებოდნენ.

რაც შეეხება პარტიის რიგებიდან ჩემს ხმაურიან გამოსვლას, საოცარია, რა ხმაური აქვს ბატონ შოთას მხედველობაში. პირადად მე ამის შესახებ არც პრესაში განმიცხადებია, არც ტელევიზიით.

ორიოდე სიტყვით ჩადენილ და გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობის შესახებ ჩვენს ქვეგანყოფილებაში. მილიციაში წლების მანძილზე არსებობდა და არსებობს სახელმწიფო აღრიცხვისათვის დანაშაულის დამალვის პრაქტიკა (კარგი მაჩვენებლების ილუზიის შექმნის მიზნით). ორიოდე წლის წინათ, თბილისის შს სამმართველოს მიერ ქალაქის რაიგანყოფილებებში კომპლექსური შემოწმების ჩატარებისას ბატონ შოთა ძნელაძესთან აღმოჩენილ დამალულ დანაშაულთა რიცხვი რეკორდული აღმოჩნდა. საოცარი ისაა, რომ ყველა განყოფილების უფროსი დაისაჯა, თავად ბატონმა შოთამ კი მალე მილიციის პოლკოვნიკის წოდება მიიღო (მხოლოდ მისი უდანაშაულო მოადგილე შეეწირა ამ საქმეს).

ჩვენი ქვეგანყოფილება რესპუბლიკაში ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანთაგანია, სადაც დანაშაულის აღრიცხვის რეალური სურათია ნაჩვენები.

მას შემდეგ, რაც ჩემი არაკომპეტენტური (ბატონ შოთას მიერ დანიშნული) მოადგილეების შეცვლას მივაღწიე, ჩვენი ქვეგანყოფილების ტერიტორიაზე მყისვე გამოიყო ახალი ქვეგანყოფილება, სადაც ამ მოადგილეთაგან ერთი უფროსად, მეორე კვლავ მოადგილედ დანიშნეს. ბატონ შოთას ამაგიც დაუფასდა: ერთ-ერთმა მათგანმა — გოჩა ფარქოსაძემ, ამ სამიოდე თვის წინათ რომ შევიდა კომპარტიის რიგებში, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გაფიცულთა საწინააღმდეგო აქციაში.

დაბოლოს, შემდგომში მოსალოდნელ მორიგ ცილისწამებაზე პასუხის გაცემა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ჩემი ენერგია მინდა უფრო საჭირო საქმეს მოვახმარო.

შიშს დიდი თვალები აქვსო. მაგრამ მაინც უსაფუძვლოდ მეჩვენება ბატონ შოთას შეშფოთება, რაც მასში ჩემს საუბრებსა და რედაქციის უწყინარ მინაწერს გამოუწვევია. იყავით მშვიდად, ბატონო შოთა, ახალ, დემოკრატიულ საქართველოში ძველი მეთოდებით ანგარისწორებას არავინ აპირებს.

**გია გულუა,**

**ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის მილიციის II ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას ფონდში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მრგვალი მაგიდა" მსჯელობს საქართველოს პრობლემებზე



როგორც ვიუწყებოდით, პარასკევს, 30 ნოემბერს გაიმართა „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების სრულიად საქართველოს შეკრება, რომელზეც საუბარი იყო საქართველოს უმთავრეს პრობლემებზე — დღევანდელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციასა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მოახლოებულ არჩევნებზე. გთავაზობთ რამდენიმე გამოსვლის მოკლე ჩანაწერს.

**რუსლან ღონღაძე, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი:**

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების არჩევნებისათვის მზადება უზენაესი საბჭოს არჩევნებზე არანაკლები მნიშვნელობისაა. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ არჩევნებისათვის შენიღბულად ემზადება ჩვენი ოპოზიციაც. მდგომარეობა რთულდება იმ რეგიონებში, სადაც დეპუტატებად „მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლები არ არიან არჩეული. ამ რეგიონებში ჩვენ კარგად მოფიქრებული, დინჯი მოქმედება გვმართებს. ბატონმა ზვიადმა ახსენა რაიონული საპარლამენტო კომისიების შექმნა. ჩემი აზრით, ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და სხვანი, — თითო კომისია უნდა შეიქმნას და ეს ქალაქები რაიონებად არ უნდა დავანაწევროთ. ასევე, ალბათ, საჭიროა შეიქმნას არჩევნებთან დაკავშირებული ექსპერტთა საბჭო, სადაც შეიძლება მივაწოდოთ ჩვენი საქმიანი წინადადებები, მოსაზრებები.

**გიორგი ხოშტარია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი:**

პირველსავე სესიაზე, რომელიც მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ გაიმართა, საუბარი გვქონდა შემწყნარებლობაზე. იმაზე, რომ ურთიერთანგარიშის გასწორება არ უნდა დავიწყოთ. ეს სწორია, მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ უნდა დავთმოთ ერისათვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხები. არ უნდა შევიწყნაროთ ის თანამდებობის პირები, ვინც ამის შემდეგაც დაუშვებს დარღვევებს.

ვიდრე ჩვენ ოფიციალურ ხელისუფლებაში აგვირჩევდნენ, თქვენთან ერთად, ხალხთან ერთად ვიყავით. ამის შემდეგაც ასე იქნება. ჩვენ ნომენკლატურულ მუშაკებად არ ვიქცევით და თუკი თქვენ ამას შეგვამჩნევთ, მაშინათვე უნდა მიგვითითოთ. ჩვენ კვლავ ერთად უნდა ვიყოთ — ხალხი და მთავრობა.

**ზაზა ლიპარტელიანი, (ჰელსინკის კავშირი — ლენტეხი):**

ძალიან მძიმე მდგომარეობაა რაიონებში, ძველი ხელმძღვანელობა, ფაქტიურად, კი არ მართავს რაიონს, არამედ ხელოვნურად ქმნის ბარიერებს. მაგალითად, ჩვენთან დეფიციტური საქონლის განაწილება ხდება ღამით, ფარულად. ბანკიდან გამოდის დიდძალი თანხა, რომელიც ხმარდება ხალხისათვის უსარგებლო შესყიდვებს. ფაქტიურად ხდება ხალხის ქონების დანაწილება-შესყიდვა. ეს შემდგომში დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს შეგვიქმნის, ამიტომაც ახლავე უნდა გავუწიოთ კონტროლი რაიონების ქონებას.

**ვალტერ შურღაია (ჰელსინკის კავშირი — ზუგდიდი):**

მრავალპარტიულ არჩევნებში ხალხის ნების გამარჯვებაში უთუოდ ღმერთის ხელიც ურევია. მე, პირადად, საქართველოს დღევანდელ სიტუაციას დავით აღმაშენებლის გამეფების პერიოდს ვადარებ. ახლაც სოციალური სიდუხჭირე და ურთიერთდაპირისპირება სტანჯავს ჩვენს ერს. დღეს ჩვენთან ნდობის დეფიციტია, ხალხი აღარ ენდობა ადგილობრივ აღმასკომებს, ამიტომაც უნდა დაჩქარდეს ადგილობრივი მუნიციპალური არჩევნები. მე მიმაჩნია, რომ გაზაფხულზე მათი ჩატარება ძალზე გვიანაა. ხალხს უნდა შევუქმნათ უსაფრთხო ცხოვრების გარანტია. ხალხი მოითხოვს კანონიერების მკაცრად დაცვას, ჯერჯერობით კი ეს ვერ ხერხდება.

სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თითქმის აღარა გვაქვს ე. წ. „გამოუყენებელი რეზერვები", რომელსაც ხშირად ახსენებდნენ ხოლმე კომუნისტები. ამიტომაც სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ ჩვენი გაღატაკებული ეკონომიკის აღდგენა. ამასთან დაკავშირებით ერთი სასიამოვნო ამბავიც მინდა გაუწყოთ: ჩვენს რაიონში არის სოფელი, რომელსაც ჯერჯერობით „ოქტომბერი" ჰქვია და რომლის მოსახლეობამაც გამოთქვა სურვილი, რომ შეაგროვონ ოქრო და ძვირფასი თვლები საქართველოს ბიუჯეტის შესავსებად, საქართველოს ასაღორძინებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი დღევანდელ მთავრობას მხარში უდგას და სჯერა მისი, სჯერა დიადი მიზნისა — საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისა.





**ოლეგ გველესიანის ფოტოები.**

# მეტის მოთმენა შეუძლებელია

ბოლო დროს სულ უფრო დაძაბულია ვითარება აფხაზეთში. აფხაზეთის ქართველობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი ტრაგედია დატრიალდა მთელს აფხაზეთში ერთი წლის წინათ. ოფიციალური ხელისუფლება ხალხს შეჰპირდა: ყველა დამნაშავე, ხელმძღვანელი თუ ინსპირატორი საკადრისად დაისჯებაო. ამაზე იტყვიან — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. აქედან გამომდინარე აფხაზეთის ქართველობას არც ქართველი ფორმალების და არც ქართველი არაფორმალების არა სჯერათ (ისევე როგორც სამაჩაბლოს ქართველებს).

თითქმის ყველა დამნაშავე თავს მშვენივრად გრძნობს, ზოგიერთს კი თავი ეროვნულ გმირად მოაქვს... თუ მდგომარეობა ასე გაგრძელდა, აფხაზეთში კვლავ მოსალოდნელია მწვავე გართულებები.

1990 წლის 9 ივლისს საქართველოს ტელევიზიამ მნიშვნელოვანი გადაცემა მოაწყო, იგი ეხებოდა აფხაზეთის მეტად მტკივნეულ საკითხებს. თანამედროვე აფხაზების დიდი ნაწილი ქართველებს გვიყურებს, როგორც აფხაზეთის დამპყრობთ. ჩვენ კი ისევ ძმობასა და მეგობრობას ვქადაგებთ. ხომ არ ვაჭარბებთ? ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, იმპერიული სისტემის 70-მა წელიწადმა წარუშლელი კვალი დაგვიტოვა. ქართველთა და აფხაზთა (თანამედროვე აფხაზები თუ ისტორიული აფხაზები?) შორის საკმაოდ დიდი ბზარი გაჩნდა, რომლის არ დანახვა დამღუპველი იქნებოდა ორივე მხარისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის დროთა განმავლობაში ნათესაური კავშირია დამყარებული, ჩვენ მაინც დაპირისპირებულნი აღმოვჩნდით.

არ შეიძლება ამის უარყოფა. დაპირისპირება არსებობს არა მარტო აფსუა გვარის აფხაზებსა და ქართველებს შორის, არამედ ერთი და იგივე გვარის ქართველებსა და აფხაზებს შორის. ცნობილი ფაქტია, რომ თითქმის არ არსებობს ქართული გვარი, რომელიც აფხაზად არ იყოს ჩაწერილი (ლაღიძე, გოგუა, წერეთელი, ჰკადუა, ახვლედიანი, კობახია, მელაძე, გვარამია, ლომია, ლორთქიფანიძე, ბებია, აბაშიძე...).

საქართველოში ხელოვნურად შექმნილი (რომლის შექმნაში ლომის წილი მიუძღვის ქართველ „ბელადებს") ავტონომიური წარმონაქმნები მეტად მზაკვრულ მიზნებს ისახავდა: ხალხთა სრული ასიმილაცია და მონათესავე ერთი მკვიდრი ურთიერთდაპირისპირება. ინტერნაციონალიზმის ლოზუნგებით და ვითომ მცირე ერებზე (ამ შემთხვევაში აფხაზები) მზრუნველი იმპერიული ძალები ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ ქართველთა და აფხაზთა დასაპირისპირებლად.

ცამდის მართალი ბრძანდებოდა ბატონი ზვიად გამსახურდია, როცა ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის ქართველობას მხოლოდ ერთადერთი გზა ჰქონდათ — გააფხაზება. რა თქმა უნდა, ამას ჰქონდა ფორმალური სახე, სინამდვილეში ხდებოდა გარუსება, რადგანაც რუსული საშუალო სკოლებს სხვა რამეს გამორიცხავს.

გააფხაზება (ხშვათა შორის, არა მარტო ქართველების) მიმდინარეობდა მოტყუებით, მოფერებით, შეპირებებით, მუქარით... და შეძლება ზოგიერთებმა არც კი დაიჯერონ — ყოველგვარი თანხმობის გარეშეც. მაგალითად, როგორც უფროსი თაობის ადამიანები აღნიშნავენ, ოჩამჩირის რაიონის სოფლების (ბედია, აგუბედია) ქართველები არც კი „შეაწუხეს", ისე ჩაწერეს აფხაზებად. დაიხურა ქართული სკოლები და გაიხსნა სკოლები, სადაც სწავლა მიმდინარეობს რუსულად, დაწყებითი სწავლება კი აფხაზურ (აფსუათა, აფსართა) ენაზე.

დღეს თითქმის ყველა აფხაზს პირზე აკერია: აფხაზეთი არ არის საქართველო, აფხაზეთი მხოლოდ ჩვენი მშობლიური მიწაა. ე.ი. მასპინძლები (ერთადერთი) ჩვენ ვართ, ხოლო სხვა დანარჩენი, მათ შორის ქართველები, სტუმრად ჩამოსული ბრძანდებიანო. ამიტომ ხშირად გაიგონებთ: თუ არ მოგწონთ აქაური ცხოვრება, წაბრძანდით თქვენს „საქართველოში" ე.ი. ენგურს გაღმა. ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის ტელევიზიით (რომელიც ნამდვილად აფხაზებისაა) გამოვიდა „აიდგილარას" თავმჯდომარე ს. შამბა, რომელმაც აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობა შეადარა ბალტიის რესპუბლიკების რუსულენოვანი „ინტერფრონტის" მოძრაობას. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ჩვენ უნდა გავუგოთ აფხაზ ხალხს, პატიოსან აფხაზ მშრომელებს, რადგანაც 70 წლის განმავლობაში სრულიად იქნა გაყალბებული აფხაზეთის ისტორია. ქართველ მეცნიერებს ხმის ამოღების უფლება აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით ან არ ჰქონდათ, ან თუ ჰქონდათ, მხოლოდ წინასწარ შედგენილი „პროგრამის" ფარგლებში. ასეთ ვაი ისტორიკოსებს, თუ არ გვეშლება, „ნაფიცი" ისტორიკოსები შეარქვეს. ქართული თუ უცხოური საისტორიო წყაროებიდან ნათლად სჩანს, რომ დღევანდელი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს (ქართები, მეგრელ-ლაზები, სვანები) ყოველთვის, ნებისმიერ საუკუნეებში უცხოვრიათ. ამაზე ლაღადებდნენ აფხაზეთის ქართული წარწერებით დამშვენებული ეკლესია-მონასტრები, ტოპონიმიკა. ასევე სატომო სახელი „კოლხი", „ლაზი", „აფხაზი" მიჩნეულია იდენტურად.

აი, რას წერს დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი: „...აფშილთა და აფხაზთა აღმოსავლეთით მდებარეობდა სვანეთი და სკვიმნია. როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამს შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს. პოლიტიკური ბატონობა ლაზთა, ანუ მეგრელთა ხელში ყოფილა და ყველანი მათის მეფეების უზენაეს უფლებას ემორჩილებოდნენ"... („ქართველი ერის ისტორია". I ტომი. თბილისი — 1960. გვერდი 427).

ალბათ, დაგვეთანხმებით, აფხაზების უდიდესი ნაწილი ზემოთ მოყვანილ ციტატას მიიჩნევს სრულ სიყალბედ.

მაგრამ თუ კი ისტორიკოს (თუ არქეოლოგ) ი. ვორონოვს მოვუსმენთ, დავით აღმაშენებელი აღმოჩნდება აფსუა, როგორც „მეფე აფხაზთა" და ამასთანავე მთელი დასავლეთ საქართველო აფსუათა მიწა-წყალი.

აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის გამწვავების „დაგვირგვინება" გახლდათ 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ დადგენილების მიღება, რაც წარმოადგენს წინასწარდაგეგმილ შეთქმულებას ქართველი ერის მიმართ. სამწუხაროდ ეს მოხდა საქართველოს ოფიციალური ხელმძღვანელობისა და ქართველ ისტორიკოს-მეცნიერთა აშკარა წაყრუებით.

დღეს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მეტად საყურადღებო წერილები იბეჭდება აფხაზეთის ისტორიის თუ ტოპონიმიკის საკითხებზე, რომელიც მაინც ცალმხრივია და ამიტომ მეორე მხარისათვის მიუღებელი.

ჩვენი უმორჩილესი თხოვნა იქნება, უახლოეს პერიოდში მოეწყოს ქართველ და აფხაზ სწავლულ-მეცნიერთა ერთობლივი დიალოგი (საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ იქნან ცნობილი უცხოელი კავკასიოლოგები) და შედეგები გამოქვეყნდეს პრესაში ქართულ, აფხაზურ, რუსულ და უცხო ენებზე.

ჩვენი აზრით, თუ კი დიალოგის შედეგად ქართველები აღმოჩნდებიან აფხაზეთის ტერიტორიის არამკვიდრი მოსახლეობა, მაშინ ისინი მოვალენი იქნებიან იცხოვრონ, როგორც ჩამოსულმა სტუმრებმა, ხოლო აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნას ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, ან პირუკუ — მეორე მხარისათვის. თუ კი აღმოჩნდა, რომ აფხაზეთის მიწა-წყალზე ქართველები და თანამედროვე აფხაზები არიან აბორიგენები ანუ მკვიდრნი (ისიც გასარკვევია თუ რამდენი საუკუნის შემდეგ ითვლება ესა თუ ის ერი აბორიგენ ანუ მკვიდრ მოსახლეობად), მაშინ კატეგორიულად უნდა იქნას დაცული სრული თანასწორუფლებიანობა ნებისმიერ საკითხებში.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ორივე მხარისათვის არსებული პრობლემები გაქრება ერთბაშად, მაგრამ ისტორიულმა სიმართლემ შესაძლებელია გარკვეული დადებითი სასარგებლო როლი ითამაშოს ორივე დაინტერესებული ერისათვის.

**ხოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის სახელით**
**დიმიტრი ქებურია,**
**მასწავლებელი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი.**

**რედაქციისაგან:** ეს წერილი რამდენიმე ხნის წინათ იყო მომზადებული, მაგრამ მისი დაბეჭდვა, სამწუხაროდ, გაგვიჭიანურდა. ვფიქრობთ, ავტორი სწორად სვამს საკითხს. აუცილებლად უნდა მოეწყოს ქართველ და აფხაზ ისტორიკოსთა დიალოგი. ამის აუცილებლობაში დაგვარწმუნა იმ ვანდალურმა ფაქტმა, რომელიც ამ დღეებში მოხდა გუდაუთაში, როცა ვაი აფხაზებმა ხელი აღმართეს უწმინდესსა და უნეტარესზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეზობელო



# კარისაო...

(გაგრძელება)

1922 წლის ივნისში საქართველოს კულტურის განყოფილებამ და ადგილობრივმა კომისიამ ოფიციალურად აღრიცხვაზე აიყვანა ჰუჯაბის მონასტრის ქონება; მოხდა ინვენტარიზაცია. აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ აქ ყოფილა ოქროს, ვერცხლის ხატები და საეკლესიო ნივთები; მონასტერში ინახებოდა საეკლესიო ჰურჭელი და წიგნები. სამწუხაროდ, საბჭოთა წლებში მონასტრის არა ერთგზის დარბევის შედეგად ბევრი მათგანი გაიტაცეს, ბევრი დაიკარგა; საბედნიეროდ გადარჩენილი ზოგი მათგანი ახკერფის ქოხში შეფარებულ მონაზვნებს აქვთ დაცული. ყველაზე მთავარი განძი ჰუჯაბის მონასტერში იყო სპეციალურად მისთვის იერუსალიმში დამზადებული ჰედური ხატი. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

დადგა 1923 წელი. 30 აპრილს შეიკრიბა ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებული მაზრების ადმინისტრაციულად გამმიჯნავი კომისია. გაფორმდა სხდომის ოქმი № 4, საიდანაც ირკვევა, რომ დასწრებიან საქართველოს სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები (ფ: 607, ან. I, ს. 75, ფურც. 12). ამ სხდომაზე განისაზღვრა საქართველოსა და სომხეთს შორის სახელმწიფოებრივი საზღვარი. დადგენილება დამტკიცებულია ამიერკავკასიის უმაღლესი ორგანოს ცაკ-ის მიერ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზღვარი გატარდეს ლალვარის მთაზე (ზღვის დონიდან 2543 მ), რომელიც ახლანდელი საქართველო-სომხეთის საზღვრიდან სამხრეთით პირდაპირი ხაზით 5 კმ-ზე მდებარეობს. ამ შემთხვევაში დაცული იქნა საზღვრის გატარების ელემენტარული მოთხოვნა და საზღვარი ბუნებრივ მიჯნაზე იქნა გავლებული. ცხადია, აქ არავითარი ტერიტორიული დავა არ ყოფილა, უბრალოდ, ომის დროს დროებითი სადემარკაციო ხაზის შესწორება მოხდა. თორემ, საქართველოს დაკარგული ტერიტორია რომ მოეთხოვა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართებოდა. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კი იმ პერიოდში ერთადერთი ყველაზე რეალური და ობიექტური იყო.

მიუხედავად ამისა, ლორის სამაზრო აღმასკომმა არავითარი ანგარიში არ გაუწია ზემოთ აღნიშნულ დადგენილებას და საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვა ჰუჯაბის ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ლორის მაზრამ შეიარაღებული ძალებით დაიკავა რიგი ადგილები. ასე, რომ ლორის მაზრის აღმასკომის პრეტენზია იმ ადგილებზე, რომელიც უმაღლეს ორგანოს მიერ საქართველოს დაუბრუნდა, ამ შემთხვევაში შეიარაღებული გამოსვლით გამოიხატა და ძალადობა იქნა გამოყენებული.

ბორჩალოს სამაზრო აღმასკომმა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს 1923 წლის 18 ივლისს მიმართვა (№ 1873) გაუგზავნა, სადაც იტყობინებოდა, რომ ლორის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი, ვინმე მიკირტიჩ ეგიაზაროვი ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობდა არა კუთვნილ რაიონებში გადასახადების აკრებას, რითაც აშკარად არღვევდა უმაღლესი მთავრობის დადგენილებას. შემდეგ მიმართვაში, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი უგზავნის საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, აღნიშნულია: „მაგრამ ამით არ თავდება მისი (მიკირტიჩ ეგიაზაროვი) თავხედობა: საზღვრის გამმიჯნავ კომისიის დადგენილების ასლზე, რომელიც წარმოგზავნილ იქნა თავის მიმოწერებთან ერთად ბორჩალოს მაზრის აღმასკომმა, მიკირტიჩ ეგიაზაროვს ფანქრით წაუწერია რუსულად, რომ ის არ სცნობს ამ ოქმს, ამჟამად აგროვებს და მომავალშიც შეაგროვებს საძოვრების გადასახადს“ და სხვა. ამაზე მეტი დაცინვა რა იქნება, როცა შენს ტერიტორიაზე უცხო აგროვებს გადასახადს. მაგრამ თავხედობისა და არსებულ წესწყობილების, სტრუქტურის სრულ წინააღმდეგობის და ლორის სამაზრო აღმასკომის აგრესიულობის შედევრად უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთი საბუთი.

როგორც ცნობილია, იმ პერიოდში ყველგან, მათ შორის ბორჩალოს მაზრაშიც, ჩატარებულ იქნა ანტირელიგიური კომპანია, რასაც შედეგად მოჰყვა, სხვა ეკლესიებთან ერთად, ივერიის მონასტრის დაკეტვა (ივერიის მონასტერი იგივე ჰუჯაბის მონასტერია, რომელიც 1905 წლის შემდეგ შეერქვა, როცა აქ მოქმედი მონასტერი გაიხსნა). ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის მიერ, სრულიად სამართლიანად, ამ დაკეტილ მონასტრიდან წამოღებულ იქნა ძვირფასი ნივთები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ლორის სამაზრო აღმასკომმა პროტესტი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ ის რაიონი, სადაც ივერიის მონასტერი იმყოფება, მათ ეკუთვნით. ამანაც გამოიწვია სრულიად ზედმეტი მიმოწერა, რომელიც ჯერ კიდევ არ შეიძლება სრულიად ამოწურულად ჩაითვალოს (ფ. 607, ან. I., ს. 73, ფურც. 76-77).

აქედან ჩანს მაშინდელი მდგომარეობა, პრეტენზიები არა მარტო ქართული მიწებისა და ტყეებისადმი, არამედ იმ განძეულობისადმი, რაც ათასწლეულები უტყუარად ქართველი ერის საკუთრება იყო.

დავუბრუნდეთ ისევ საზღვრის დავას. ბორჩალოს მაზრის ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობდა არ გამოეწვია კონფლიქტი. იმ დროსაც კი, როცა შეიარაღებული ჯგუფები იკავებდნენ ბორჩალოს მაზრის ტერიტორიას, წინააღმდეგობას როდი უწევდნენ. ბორჩალოს მაზრის ხელმძღვანელობის ინიციატივით 1924 წლის 20-21 სექტემბერს ლორე-ბამბაკის მაზრასთან ერთობლივად შექმნილი კომისია შეიკრიბა შულავერში (ახლანდელი შაუმიანი), მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის გამო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. რადგან ლორე-ბამბაკის მაზრის წარმომადგენლები ითხოვდნენ 1921 წლის 6 ნოემბრის დადგენილების განხორციელებას. ბორჩალოს მაზრის წარმომადგენლები კი ამ მოსაზრებას უარყოფითად აფასებდნენ, რადგანაც არაცხოვრებისეულ საზღვარს ვერ შეეგუებიან. საზღვარი უნდა გატარებულიყო კანონიერ ფარგლებში. ლორე-ბამბაკის მაზრის წარმომადგენლების მოთხოვნით ადგილობრივ მოსახლეობას ცხოვრებისეული მოთხოვნები ეკრძალებოდათ, რადგან ჩამოაჭრეს სანადელო და შესყიდული მიწები, საძოვრები და ტყეები, რომლებიც გადასცეს ლორე-ბამბაკის მაზრას. სულ ბორჩალოს მაზრიდან ჩამოჭრილია 18000 დესეტინა მიწა გლეხებისაგან. ამჟამად მოსაზღვრე სოფლის მცხოვრებლებს შორის მიმდინარეობს შეტაკებები, რაც მიწათმოწყობის ნორმალური პირობების საშუალებას არ იძლევა; განსაკუთრებით საგანგაშოა საძოვრების გამოყენების მდგომარეობა.

სოფლების — ოფრეთისა და ჯილიზის გლეხები აცხადებენ, რომ მათ თვით შეუძლიათ მოუარონ საქმეს და არ მისცემენ საშუალებას მიწების ასე გასხვისებას, რამდენადაც მათ არ შეუძლიათ სხვაგვარად არსებობა. ისინი ათეული წლები სარგებლობენ ამ მიწებით.

ეს ის ჯილიზაა, რომელიც 1921 წლის 6 ნოემბრის დროებითი დადგენილებით ბორჩალოს მაზრას მოწყვიტეს; ეს ადგილი ნახევარკუნძულივით არის შემოჭრილი ხოჯორნასა და ახკერფს შორის, რამაც განსაზღვრა კიდეც საზღვრის ასე უაზროდ გატარება. ამიტომაც იყო, რომ შემდეგში ათეული წლები გრძელდება მიწებზე დავა სოფლებს ოფრეთსა და ჯილიზას შორის. ამის შესახებ უამრავი საბუთია შექმნილი. ისიც აღსანიშნავია, რომ ჯილიზა ათიან წლებში (1913 წლის ვერსიან რუკაზე) ხუტორადაა აღნიშნული და მოსახლეობის რაოდენობა მითითებული არ არის, იმ დროს, როცა ახკერფი, ჩანახჩი და ოფრეთი დასახლებულ პუნქტებადაა აღნიშნული და შესაბამისად კომლთა რაოდენობა 54, 21 და 97-ია.

შემდეგ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს საზღვრების საკითხში და იგი უნდა გადაწყდეს ადგილზე და არა კაბინეტში. საზღვრის სწორად გატარება — ბუნებრივ წყალგამყოფზე (ქედი, მწვერვალი, ხევი და სხვ.) გადაჭრის იმ დავას, რაც გრძელდება (ფ. 288, ან. I, ს. № 1370, ფურც. 40-42).

1926 წლის 13 თებერვალს სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო სამმართველომ ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმის სახელზე გამოგზავნა სომხურ-რუსულ ენებზე შედგენილი 8 გვერდიანი მოხსენებითი ბარათი (ფ. 607, ან I, ს. № 1135, ფურც. 7-10). მასში აღნიშნულია, რომ 1921 წლის 6 ნოემბრის აქტი გახდა ორი რესპუბლიკის სასაზღვრო დავა, რომელიც იყო სომხეთსა და საქართველოს შორის სისხლისმღვრელი ომის მიზეზი. ამ აქტით ლორის ზეგანი შეუერთდა სომხეთს. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა კი 1922 წლის 2 სექტემბერს ამ აქტის საფუძველზე გადასცა ახტალის სატყეოს ლოქ-ლალვარის ქედის ჩრდილო კალთების ტყე, რომლის ფართობი 15-18 ათასი დესეტინა იყო. ამას მოჰყვა აზრთა სხვადასხვაობა სასაზღვრო პუნქტებზე.

1921 წლის 6 ნოემბერს გატარებული საზღვარი საქართველოს მხარეს მიაჩნია „საჰაერო“ და მიზანშეწონილად ეჩვენება ლოქ-ლალვარის წყალგამყოფ ქედზე საზღვრის გატარება. საბჭოთა ხელისუფლებას კი არ შეუძლია ამ სტრატეგიული მოსაზრებით იხელმძღვანელოს ამიერკავკასიის საზღვრების დადგენაში —ამბობს სომხეთის მხარე — **ამ მოსაზრებებს რომ მივემხროთ,** განაგრძობს სომხეთის მხარე, **მაშინ არსად გვექნება წარმატება, რადგან ამიერკავკასიის ხალხებს, ადგილობრივ ცხოვრების მოწყობაში, არასოდეს უსარგებლია ამით და არ გამოუყოფილან ჩინეთის კედლით. ბუნებრივ საზღვარზე დაჟინება ჩვენი აზრით. არავითარი მოთხოვნებით არ არის თუ ჩვენ არ მივისწრაფით ხელახლა გავაჩაღოთ ერთმანეთისადმი მტრობა.**

საქართველო ლოქ-ლალვარის ქედის ტყეებზე აღნიშნავს, რომ მას იგი სჭირდება ჩათახის ქარხნისათვის. მაგრამ ეს არის ხელოვნური და დაუსაბუთებელი, რადგან ჩვენ არ დავუშვებთ, რომ საბჭოთა წყობილების დროს ჩათახის ქარხანა ხე-ტყის გარეშე დარჩეს. ამასთან, ჩათახის ქარხანა დაკმაყოფილდება ბორჩალოს მაზრის ტყეებით, ხოლო საკავშირო მნიშვნელობის ალავერდის ქარხნის ერთადერთი რეზერვი ხომ ეს ტყე არის.

თუ ამიერკავკასიის ცაკ-ი შეეცდება საქართველოსა და სომხეთს შორის ახალი საზღვრის დადგენას, სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი წარმოადგენს თავის პროექტს საზღვრების შესახებ. ეს პროექტი მართლაც ახლავს ზემოაღნიშნულ მოხსენებით ბარათს, რომელსაც აქვე გთავაზობთ გამარტივებული სქემატური სახით ქართულ ენაზე. სომხეთის მხარის აზრით, უფრო მიზანშეწონილი და კანონიერია მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის მიხედვით გატარდეს საზღვარი. შემდეგ, სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ერზინკიანი გვაფრთხილებს, თუ არ გაჩერდებით, უფრო მეტსაც მოვითხოვთო.

სქემიდანაც კარგად ჩანს, რომ მათ პრეტენზია ზემო და ქვემო წერაქვზეც აქვთ. წერაქვი კი ყველამ ვიცით მიხეილ ჯავახიშვილის მშობლიური სოფელია. თითქმის ყველა ზემოთ მოტანილი არგუმენტები მოკლებულია ყოველგვარ კანონიერებას. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ლორის ზეგანი ლოქ-ლალვარის ქედის ჩრდილო კალთები არ არის და ამდენად, პრეტენზია მასზე უსაფუძვლოა.

1926 წლის 1 მარტს ამიერკავკასიის ცაკ-ის პრეზიდიუმის სხდომაზე (ოქმი № 3) განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ არ სრულდებოდა 1921 წლის 6 ნოემბრის შეთანხმება სადავო სასაზღვრო ზოლში ტყის ჭრაზე (გარდა გლეხებისა). ეს ტყე ადრე შეთანხმებით მიღწეული ზოლი, სადაც საკითხის გადაწყვეტამდე ტყის გაჩეხვა შეჩერებულ უნდა ყოფილიყო (ფ. 617, ან 1, ს. № 432).

ასე დაუსრულებლივ არის ჰუჯაბის მიდამოების სასაზღვრო საკითხი განხილული უამრავი კომისიებისა და დაწესებულებების სხდომებზე. მიღებულია დადგენილებები, რომლებშიც ზოგჯერ ერთმანეთის საპირისპირო და გამომრიცხავი აზრებია გატარებული. ზოგჯერ მიღებულია ტენდენციური და არაუფლებამოსილი, უკანონო გადაწყვეტილებები. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო კომისიების არაკომპეტენტურობის გამო, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ განეხილათ აღნიშნული საკითხები. ამას ქვემოთაც შევეხებით.

1927 წლის 4 იანვარს შედგა ამიერკავკასიის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებს შორის მიწით, ტყით და წყლით სარგებლობის სადავო კომისიის სხდომა (ოქმი № 37), რომელსაც ესწრებოდნენ და შემდეგ დოკუმენტს ხელს აწერენ თავმჯდომარე ს. კასიანი, წარმომადგენლები სომხეთის ცაკ-დან ერზინკიანი (იგივე სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი), საქართველოს ცაკ-იდან თათეოსიანი და ავდალბეკიანი, კომისიის კონსულტანტი მ. სკიბიცკი (ფ. 607, 1. ს. № 1135). ვფიქრობთ, მკითხველისათვის ყველაფერი ნათელია. აი, ვის უნდა გადაეწყვიტა საქართველოს საზღვრის ბედი. აი, რატომ იყო წლების განმავლობაში სადავო ჰუჯაბის ტყის საკითხი. ასეთი უთანასწორო სხდომები ჰუჯაბის საკითხთან მრავალჯერ ჩატარებულა, და ცხადია, ისინი ობიექტური და კანონიერი ვერ იქნებოდა. ყველა ასეთი გადაწყვეტილების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მაინც გაგაცნობთ.

ზემოთ აღწერილი კომისიის სხდომის გამოძახილი და უშუალო გაგრძელება იყო მეორე დღეს (5 იანვარი 1927 წ.) შედგენილი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოსა და სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისრები — ა. გეგეჭკორი და ა. ერზინკიანი, უთანასწორო დადგენილება, რომელსაც უსიტყვოდ მოაწერეს ხელი, ითვალისწინებდა რიგი დასახლებული პუნქტების გადაცემას სომხეთისათვის, მათ შორის ახკერფის (ჰუჯაბთან ერთად). ახლა ისიც ვიკითხოთ, ქართველი კომისარი იყო თუ არა საქმის კურსში რაზე აწერდა ხელს?

აღსანიშნავია, რომ 1921, 1922, 1925 1927, 1928 წლების ყველა რუკაზე საზღვარი ლოქ-ლალვარის ქედის წყალგამყოფზეა გატარებული. იქნებ გვითხრან, საქართველოში გამოცემულ რუკებს იმოწმებთო; არა, მოსკოვში გამოცემულ 1928 წლის რუკაზეც ასეა დატანილი. ხოლო სსრკ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის კომიტეტი (ახლა სსრკ მთავარი სამმართველო) შეუვალი დაწესებულებაა.

**კობა ხარაძე**

(გაგრძელება იქნება)

**ჰონორარი გადაირიცხება ხოფულ ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში.**

დასაწყისი იხ. 182, 183-184.

## ახალი დოკუმენტური მასალები ჰუჯაბზე




საზღვრის პროექტი საქართველოსა და სომხეთს შორის სადახლოს რაიონში (1926 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეპლიკა

# ფირმა „უნივერსი" უნივერსალურად იტყუება

## ანუ

## ვინ და როგორ გვაჩეჩებს სენსაციას!..

ჯერ თავად ფირმაზე — „უნივერსი" საქველმოქმედო ფირმაა. ეს თავისთავად განსაზღვრავს მისი საქმიანობის მიზანს, მაგრამ გააჩნია საშუალებას და ფორმას. ის, რაც „უნივერსმა" ამ დღეებში გააკეთა, სხვა არაფერია, თუ არა მეტად უნივერსალური ტყუილი. მე არ ვიცი, შეგნებულად თუ შეუგნებლად მოხდა ეს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ლაქას ისინი კარგა ხანს ვერ მოიშორებენ. მით უფრო, რომ მომხდარმა სპეციალისტების სოლარი აღშფოთება გამოიწვია.

„უნივერსს" იმისათვის, რომ ასე ორიგინალურად მოეტყუებინა ხალხი დასჭირდა არც მეტი, არც ნაკლები, ლეგენდარული ბულგარელი ნათელმხილველის ვანგას (ევანგელია დიმიტროვას) სახელს ამოფარება, თანაც ეს მათ გააკეთეს საკმაოდ ოსტატურად, მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრობით.

მოკლედ, ნოემბრის მიწურულს თბილისში გაჩნდა აფიშები მეტად სენსაციური განცხადებით. ხალხს ეუწყა, რომ დედაქალაქში ჩამოდიოდა ვანგას ღვიძლი და, ასევე ცნობილი ნათელმხილველი მამერა ჩინჩევა, ცნობილი ექსტრასენსები — ბულგარეთის ფსიქოტრონიკის ასოციაციის პრეზიდენტი კუბრატ ტომოვი, მეთოდი გუბეროვი და ივან ივახოვი. აფიშა-სატყუარა დამსწრეთ 1,2 და 3 დეკემბერს საოცარ სამკურნალო დიაგნოსტიკურ სეანსებს ჰპირდებოდა.

რეკლამა-სატყუარამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გასჭრა. ხალხი არ „შეუშინდა". ბილეთის ღიღებულებასაც, ოფიციალურად იგი 20 მანეთი ღირდა, არაოფიციალურად კი 50-60 მანეთი!..

საქმეში ჩახედული პირები ცოტა არ იყოს დაიბნენ. დღემდე მათთვის და ჩემთვისაც ცნობილი იყო, რომ ლელია ვანგას (ასე ეძახიან მას სიყვარულით) მხოლოდ ერთი ღვიძლი და ჰყავდა ლუბკა გაიგუროვა, რომელიც პეტრიჩიდან 20 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს, პატარა ქალაქ სანდასკიში. ლუბკა არც ექსტრასენსია და მით უფრო, არც ნათელმხილველი. მე ამას წინათ ვიყავი პეტრიჩში, შევხვდი ვანგას ჩემი მეგობრის ცნობილი ბულგარელი ჟურნალისტის რადა მილევას დახმარებით ველაპარაკეთ მის დისშვილს კრასიმირა სტოიანოვას — ვანგაზე ერთადერთი პოპულარული წიგნის ავტორს.

მოკლედ, ვფიქრობდი, რომ „უნივერსი" უნივერსალურად ცრუობდა, ეს ეჭვი სეანსებზე გამართლდა კიდეც. ფირმის წარმომადგენელს ნოდარ ალადაშვილს გუშინწინ, კვირას საღამოს სეანსის დროს კინოთეატრ „ამირანის" დირექტორის ბატონ ზურაბ ჩომახიძის კაბინეტში საუბრისას არ უარუყვია ეს. მეტიც, გარკვევით ვერ ან არ გვითხრეს, თუ უშუალოდ მაინც ვინ „იკისრა" ამ სატყუარას მომზადება.

სეანსები მაინც ჩატარდა. ჩატარდა აншლაგით. კინოთეატრ „ამირანის" დარბაზი გადაჭედილი იყო... მოტყუებული ხალხით. წარმოიდგინეთ მხოლოდ — „ამირანი" იტევს 622 კაცს. გაამრავლეთ ეს რიცხვი ოცზე. ცოტაა?

მოტყუება მოტყუებად, ამას თავი რომც დავანებოთ, ბულგარეთიდან ჩამოსულთა პროფესიულ დონეზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. მაპატიონ სტუმრებმა, მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ეს იყო ჩვეულებრივზე დაბალი დონე. საკმაოდ უსუსური პასუხებით და განმარტებებით. სამაგიეროდ, სტუმრები და მათი უკრაინელი „მასპინძლები" (სტუმრები სწორედ უკრაინის ექსტრასენსორიკის ცენტრის მეშვეობით მოხვდნენ საქართველოში) დაბეჯითებით არწმუნებდნენ დამსწრეებს ჩვენთვის, საქართველოსთვის „პერესტროიკის" ფრიად დიდებით მნიშვნელობაზე. კომენტარს, ეს ფაქტი, ცხადია, არ საჭიროებს.

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ჩვენ ბულგარელი ექსტრასენსების საწინააღმდეგო გვქონდეს რამე. არამც და არამც, პირიქით, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი „ცდილობდნენ" სამ დღეში, სამად-სამი მასიური სეანსით მოერჩინათ მეტად რთული დაავადების მქონე ავადმყოფები. ორგანიზატორთაგან კაციშვილს არ ჰქონდა წარმოდგენა მათ პროფესიულ დონეზე. იმაზე, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მეტიც ისეთი სიურპრიზებით გამოირჩა მათ მიერ ვანგას სახელით სპეკულაცია, რომ საქართველოში მყოფმა ცნობილმა ბულგარელმა ჟურნალისტმა რადა მილევამ თავი ვერ შეიკავა და სტუმართ საკმაოდ უსაყვედურა. ძნელი იყო მისთვის ეს. მე მესმოდა მისი, მაგრამ გააკეთა მხოლოდ იმიტომ, რომ ვანგას კეთილი სახელით, მისი მართლაცდა საოცარი ფენომენით სპეკულაცია არ შეიძლება. ქალბატონმა რადამ პროგრამა „მოამბისათვის" მიცემულ ინტერვიუშიც თქვა ეს. ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ კი, როგორც მან მითხრა, ეს ფაქტი იქ საგანგებო მსჯელობის საგანი გახდება. როცა ყველაფერი ეს მოვუყევით, თავისი აღშფოთება არც ცნობილ პროფესორ ველიჩკო დობრიანოვს დაუმალია. მეტიც, მან თქვა, რომ ამის შესახებ ბულგარეთში სპეციალურ პუბლიკაციას გააკეთებს. ბატონი ველიჩკოც, რომელიც საქართველოში იმყოფება ანომალიური მოვლენებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, კარგად იცნობს ვანგას, იგი წლების მანძილზე იკვლევდა მის ფენომენს, ბულგარეთში დღე-დღეზე გამოვა მისი წიგნიც...

მოკლედ, „უნივერსის" ორმაგი უნივერსალური ტყუილის გამო დაზარალდა ყველა. დაზარალდა საერთოდ ექსტრასენსორიკისადმი დადებითი დამოკიდებულებაც საქართველოში. ჩვენთან ბოლო ხანებში ასე მომრავლებული ექსტრასენსებისადმი ხალხს სკეპტიკურ განწყობას ეს ფაქტიც გაუძლიერებს და ძლივსძლივობით დაძრული ექსტრასენსორიკის კვლევის საქმე კვლავ შეფერხდება.

მომხდარს, ცხადია არაფერი ეშველება, მაგრამ ეს გაკვეთილი უნდა იყოს ყველასათვის განსაკუთრებით მათთვის, ვინც ბიზნესის გაკეთებას ფსიქოტრონიკის ურთულესი და უძნელესი საკითხების სანახაობითი ღონისძიებების მოწყობით ცდილობს.

და ბოლოს, საკმაოდ სოლიდური შემოსავალი რომელსაც ფირმა „უნივერსი" მიიღებს ამ ღონისძიებიდან, ჩემი აზრით, უკანონოდ უნდა ჩაითვალოს და იგი უკლებლივ უნდა გადაირიცხოს რომელიმე ფონდში. თუ რომელში ეს, ალბათ, უპრიანი იქნება განსაზღვრონ მათ, ვინც უშუალოდ დაესწრო ამ სეანსებს და გაიგებს, რომ ასე მწარედ მოატყუეს.

**გიგლა გობეჩია**

**რედაქციისაგან:** ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ფირმა „უნივერსი" საქველმოქმედო მოიხდის ბოდიშს ახეთი ტყუილისათვის და არამ მოგებას მთლიანად გადარიცხავს რომელიმე საქველმოქმედო ფონდში.

# საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიაზე



**როგორც** უკვე გაუწყეთ, 30 ნოემბერს, თბილისში საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიამ.

სესიამ მიიღო დადგენილება ეროვნული კონგრესის პირველი აქციის შესახებ, აგრეთვე მთელი რიგი სხვა რეზოლუციები და დადგენილებები, მათ შორის რეზოლუცია საქართველოს უზენაეს საბჭოზე და მის მუშაობაზე, დადგენილება საოკუპაციო პირობების კანონმდებლობაზე, საქართველოში განლაგებულ საოკუპაციო ჯარებზე, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მისაღებ აუცილებელ ზომებზე, საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონების აღდგენაზე.

სხდომაზე ითქვა, რომ თუ საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიაზე მიღებულ ყველა დოკუმენტს არ გამოაქვეყნებს რესპუბლიკის პრესა 1990 წლის 10 დეკემბრამდე, მოეწყობა საპროტესტო აქცია.

1 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა კონგრესმა თავისი ორდღიანი მუშაობა დაასრულა.


# ყურადღება

# ყურადღება

# ყურადღება

საწარმოების, ფირმების, კოოპერატივების საყურადღებოდ! ხაბითუმო ფასებში, დიდი რაოდენობით გთავაზობთ უცხოური წარმოების ფართო სახალხო მოხმარების პროდუქციას.

საბჭოთა მანეთებზე, გადარიცხვით, თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ:

1) მაცივრები (აშშ, გფრ, ისრაელი) — ორკამერიანი, მოცულობა 300 ლიტრი;

2) მიკროტალღოვანი ელექტრო ქურები (აშშ);

3) ქალის წინდები („კოლგოტკები") (აშშ, გფრ) ნებისმიერი ზომისა და გავრცელებული ფერის;

შეკვეთები მიიღება და ხელშეკრულებები გაფორმდება მისამართზე ბუდაპეშტის ქუჩა № 1; (11.00-დან 16.00 საათამდე);

დამატებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ტელეფონებზე.

37-58-25 ან 37-06-64.

იჩქარეთ, საწარმოებს, ფირმებს, კოოპერატივებს ეძლევათ შანსი შეავსონ საქართველოს ბაზარი დეფიციტური საქონლით!

იჩქარეთ, პროდუქციის რაოდენობა ლიმიტირებულია. შეკვეთები მიიღება 10 დეკემბრამდე.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლოკი"


## ყურადღება!

საქართველოში პირველად საქველმოქმედო ფირმა „ჰუმანიზმმა" დაარსა სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების საქველმოქმედო ნდობის ანონიმური ტელეფონი. ნებისმიერ ადამიანს დღე-ღამის განმავლობაში შეუძლია ანონიმურად ისარგებლოს ამ სამსახურით. ფსიქოლოგები გულისყურით მოეკიდებიან თითოეული თქვენგანის სულიერ „ემოციურ" და სოციალური ურთიერთობის პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და დაეხმარებიან კრიზისული მდგომარეობის დაძლევაში.

ნდობის ტელეფონია 95-41-71.

# პოეზიის დიდოსტატის პორტრეტი



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საშუალო თაობის ერთ-ერთმა ნიჭიერმა მხატვარმა, პროფესორმა თეიმურაზ ყუბანეიშვილმა აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეებს უძღვნა ხელოვანი პოეტის შთამაგონებელი პორტრეტი. (პორტრეტი დიდოსტატურად გადმოგვცემს ერის სათაყვანებელ შვილის, უბადლო პოეტის შინაგან ბუნებას. სურათის ავტორი აგრძელებს პორტრეტული ჟანრის ეროვნულ ტრადიციას, რაც ხელოვანის ჭეშმარიტ შემოქმედებით გამარჯვებაზე მეტყველებს.

**სიმონ ნაციაშვილი,**

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი მეცნიერი აკაკი შანიძე თავდადებული ქართველი გახლდათ. მქონდა ბედნიერება, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად ვყოფილიყავი მის გვერდით. თვალწინ მიდგას სურათი: თავის კაბინეტში დახასვენებლად სავარძელში ჩამჯდარი ცნობილი მეცნიერი მოიგონებდა ამა თუ იმ დანაშაულს, ქართველის თუ არაქართველის მიერ ჩვენი ერის წინაშე ჩადენილს, ან ჩვენს ეროვნულ უმწეობას, რომელიც სახარგებლო საქმეს გადაეღობებოდა, ღრმად დაფიქრებულს სახეზე უზომო ტანჯვა აესახებოდა, იჯდა ერთხანს ასე, ბოლოს მწარედ ჩაიქნევდა ხელს და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვებოდა — ეს მოხუცი მეცნიერისათვის დამშვიდების ჩვეული ხერხი იყო.

1965 წლის 25 ნოემბერს თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში ჩატარდა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. აკაკი შანიძემ ამ სხდომაზე წარმოთქვა სიტყვა, სადაც დაუფარავად ილაპარაკა იმ დროისათვის ტაბუდადებულ თემებზე და ამით ძალზე გაანაწყენა ოფიციალური ხელისუფლება. სწორედ ამის გამო საიუბილეო სიტყვა ჯერ არსად დაბეჭდილა. ამჟამად გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით.

ლილი ბასილაია,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# აკაკი წერეთელი
## (დაბადებიდან 125 წლისთავის გამო)

აკაკი წერეთელი! რამდენი რამის მთქმელია ქართველი ერისთვის ეს ორი სიტყვა, რომლებიც ერთ დიდ ადამიანს აღნიშნავენ, ადამიანს, რომელიც 125 წლის წინათ მოევლინა მრავალტანჯულ საქართველოს.

მე არა ვარ ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, მაგრამ ორიოდე სიტყვა მეც შემიძლია ვთქვა იმ კაცის შესახებ, რომლის დიდი პოპულარობის გამო მისი სახელი დამარქვეს.

აკაკი წერეთლის პოეზიას მე პირველად სოფლის სკოლაში გავეცან, სადაც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა"-ში გვასწავლიდნენ ასეთ ლექსებს:

**„ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამ",**
**„გაზაფხულდა. ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია",**
**„ერთი თხა ჰყავდა ბებიას" და სხვა.**

პირადად გავეცანი დიდ პოეტს 1908 წელს. ამ დროს მთელი საქართველო ძაძით იყო მოსილი დიდი ილიას მოკვლის გამო წინა, 1907 წელს, როცა მზაკვრულმა ხელმა ტყვია ესროლა და ძირს დასცა ქართველი ერის მეთაური და წინამძღვარი. ილიას მოკვლის შემდგომ აკაკიღა იყო ჩვენი ნუგეში, ამიტომ აკაკის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავს დიდი ზეიმით შეეგება ქართველი ერი.

როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელი სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელსაც ვათავებდი 1908-1909 სასწავლო წელს. გიმნაზიელებმა მოვისურვეთ, რომ აკაკის იუბილე გადაგვეხადა თვით ამ სასწავლებელში. ვამზადებდით საჩუქრებს. სხვათა შორის, მე-8 კლასის მოწაფემ დ. კაკაბაძემ (შემდეგში გამოჩენილმა მხატვარმა) დახატა აკაკის სურათი, რომელიც უნდა მიგვერთმია მისთვის. მაგრამ 1908 წელს ნება არ დაგვრთეს აკაკის იუბილე მოგვეწყო გიმნაზიაში. ეს მოხერხდა მხოლოდ 1909 წლის დასაწყისში, 8 იანვარს. მოვიწვიეთ პოეტი, რომელიც თავის საიუბილეო საღამოს დაესწრო. იყო მოხსენებანი, ლექსები.

შემდეგ მე ვნახე აკაკი პეტერბურგში ერთ ოჯახში და მქონდა მასთან საუბარი. ეს არის და ეს. მეტი პირადი შეხვედრა მასთან არ მქონია.

აკაკი წერეთელი რომ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, უკვე 60 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და რუსეთის იმპერიის ერთი ნაწილი გახდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოში განვითარება ეკონომიური და ეროვნული ჩაგვრის ქვეშ მიმდინარეობდა. მოისპო ქართული სკოლა, ქართული მართლმსაჯულება, გაბატონდა გარედან შემოჭრილი სავაჭრო კაპიტალი, სალიტერატურო ენა იმდენად შეირყვნა და დაეცა, რომ ძნელი წარმოსადგენია. XVII-XVIII საუკუნეებში რამდენად მაღლა იდგა ქართული მწერლობა როგორც ფორმით, ისე შინაარსით: არჩილიანი, სულხანის იგავ-არაკები, დავითიანი და სხვა კარგი მაჩვენებლებია სალიტერატურო ენის ძლიერი მაჯისცემისა. XIX საუკუნის ქართული მწერლობა კი კულტურული დეგრადაციის ამსახველია. მხოლოდ სამოციანი წლებიდან იწყება ერთგვარი გარდატეხა და რამდენადმე გამოსწორება საქმისა, რაც უმთავრესად ილიასი და აკაკის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლით მოხდა. აკაკის ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან ქართულ ენას დაუბრუნა სასიცოცხლო ძალა, ჩაჰბერა განახლების სული, გამოაცოცხლა მისის რიტმი და რითმა. მისი ლექსები სასიამოვნოდ ხვდებოდა ყურს, ამიტომ აკაკის ლექსებს ადვილად იზეპირებდნენ, მღეროდნენ და ამღერებდნენ ჩონგურსა და გიტარაზე.

ილია იყო ქართველი ერის წინამძღვარი, აკაკი კი, ვაჟას გამობრწყინებამდე, ქართული პოეზიის უცილობელი მედროშე. მაგრამ ამასთანავე ერთად იგი პროზითაც ჩინებულად წერდა. თავი რომ არ მოგაწყინოთ, აკაკის მრავალფეროვანი და შინაარსიანი მემკვიდრეობიდან მე გამოვყოფდი ორიოდე საკითხს.

დაბეჩავებული და კულტურულად განადგურებული საქართველოს გამოფხიზლებისა და ეროვნული განთავისუფლების მოტივები გაბატონებული ნიშანია აკაკი წერეთლის შემოქმედებაში. საქართველო აკაკის ამირანად ჰყავს წარმოდგენილი, რომელიც მიჯაჭვულია კლდეზე. აკაკის იმედი აქვს, რომ

**დრო მოვა და თავს აიშვებს,**
**იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი,**
**სიხარულად შეეცვლება**
**ამდენი ხნის გასაჭირი.**

აკაკის გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ცარიზმის გაბატონებით დიდად შეფერხდა ქართული ეროვნული საქმე, რომელიც მონობის მდგომარეობაში სასიკეთოდ ვერ წარიმართებოდა.

**მთელ საუკუნის ბატონ-მონობამ**
**დაგვიბორკილა ხელი და ფეხი**
**და რჯულთან ერთად ეროვნებასაც**
**საშვილიშვილოდ თავს დახცა მეხი.**

დიდი უბედურება დატეხია თავს საქართველოს წარსულში და თვით აკაკის ცხოვრებაშიც. აკაკი წერეთელმა წიგნებიდან იცოდა, თუ რა გადახდა თავს დიმიტრი თავდადებულს, მაგრამ აკაკის დროსვე მოხდა ორი შემაძრწუნებელი ამბავი: ქართული გრამატიკის ავტორს დიმიტრი ყიფიანს, რომელიც ამაოდ ცდილობდა სამართლიანობა ეპოვა თვითმპყრობელობის პირობებში და დაეცვა ქართველების ღირსება, მეფის აგენტებმა თავი გაუტეხეს სტავროპოლში. აკაკი წერეთელი იმ უბედურებასაც მოესწრო, რომ ტყვია ახალეს თავში და ძირს დასცეს უებრო მოჭირნახულე ქართველი ერისა — დიდი ილია. ამის გამო გულგახეთქილი და სასოწარკვეთილი აკაკი მოსთქვამდა ილიას შესახებ:

**თავი დახდვა ქვეყნისათვის,**
**მიჰბაძა ძმებს თავდადებულთ:**
**მეფესა და ყიფიანსა,**
**იმ ორ ქართველს, თავდადებულთ.**

მაგრამ განსხვავებაც არის, ერთი მხრით, დიმიტრი თავდადებულსა და დიმიტრი თავგატეხილის მოკვლას შორის და მეორე მხრით ილია ჭავჭავაძის მოკვლას შორის წიწამურის გზაზე:

**მეფე მოკლეს მონგოლებმა.**
**დიმიტრიც მტრის მოკლულია!**
**მაგრამ ნუთუ შინ ჩვენმავე**
**გამოგვტაცა ჩვენ ილია?!**

დიახ! ჩვენმავე კაცმა დაუმოკლა ბედისწერა; მე კარგად მახსოვს, რა ბინძური ფილიპიკები გაისმოდა ილიას წინააღმდეგ იმდროინდელ პრესაში, თითქო ილია გლეხებს სასმელ წყალს არ ანებებსო და სხვა. ამგვარმა ცილისწამებამ თავისი ქნა: იმსხვერპლა უდანაშაულო ადამიანი, რომელიც თავს არ ზოგავდა ქართველი ერის ღირსების დასაცავად, მისი მეობის შესანარჩუნებლად. და ეს იყო, რომ მწარედ ააქვითინა მთელი ქართველი ერი და მისი საუკეთესო წარმომადგენელი აკაკი წერეთელი.

ძირმომპალი თვითმპყრობელობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ერთა შორის შუღლი და მტრობა ჩამოეგდო და თავისი ბატონობა გაეხანგრძლივებინა. ერთი ასეთი მოვლენათაგანი იყო სომეხ-თათართა შეტაკება და სისხლის ღვრა 1905 წელს, რაც სამარცხვინო ფურცელია ცარიზმის ისტორიაში: ეს სისხლის ღვრა ძმათა შორის სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და კინაღამ საქართველოშიც გადმოვიდა, მაგრამ იმ დროს ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მიიღეს გადამჭრელი ზომები და სომეხ-თათართა ქლეტა აშორებულ იქნა საქართველოში.

აკაკი წერეთელი ამ ამბებს გულისწყრომით შეხვდა და სომხებსა და თათრებს ასეთ რჩევას აძლევდა:

**ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის!**
**ძმა ძმაზე ლესავს ხანჯალსა?!**
**ილუპებიან ორნივე,**
**არც ღონეს ზოგვენ, არც ძალას,**
**ორივეს მტერი ერთია,**
**შორეულ გადამთიელი...**

ერთ საკითხს მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. რა იქნებოდა, რომ აკაკის წლები შეჰმატებოდა და ჩვენს დრომდე ეცოცხლა ტანის სიმრთელით, საღი გონებით და ფხიზელი დაკვირვების თვალებით? ხომ არის შემთხვევები, რომ დიდხანს ცოცხლობდეს ადამიანი? ჩვენ ყველას აღგვაფრთოვანებდა 125 წლის პატრიარქის ხილვა ხორციელად. აკაკისთვის რომ გეკითხა, როგორ შეხვდებოდა ის იმ ამბავს, რომლებიც დატრიალდა ჩვენში მისი სიკვდილის შემდეგ, ძნელი არ არის იმისი გამოცნობა, თუ როგორი იქნებოდა მისი პასუხი.

იგი უთუოდ კმაყოფილი შეხვდებოდა უნივერსიტეტის დაარსებას, მაგრამ საგონებელში ჩააგდებდა 1924 წელი. გულს მოუკლავდა 1931 წლის ამბები, როცა უნივერსიტეტში ნამდვილი მეცნიერები გაასამართლეს ცრუ-მეცნიერებმა და უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი დაითხოვეს და მას მიაყოლეს სხვები: გრიგოლ წერეთელი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მ. პოლიექტოვი, გ. გეხტმანი, გ. გამყრელიძე. აკაკის კიდევ უფრო დაალონებდა ის ფაქტი, რომ არ მოინახა ვინმე, რომ ცრუ-მეცნიერები ემხილებინა და ნამდვილი დაეცვა.

აკაკი წერეთელს გულს მოუბრუნებდა უნივერსიტეტის აღდგენა და ივანე ჯავახიშვილის დასახელება, მაგრამ გულს დასწყვეტდა, რომ გრიგოლ წერეთელი გაუყენეს მოუსავლეთის გზას.

აკაკის ცუდ გუნებაზე დააყენებდა 1937 წლის ამბები, როცა არ იყო დანდობა და ბევრ ქართველს სიცოცხლე გამოასალმეს, მაგრამ რომ გაიგებდა, რომ მერმე, კაი ხნის შემდეგ, გრიგოლ წერეთელს და ბევრ სხვას რეაბილიტაცია უყვეს, დიდ ნუგეშად მიიჩნევდა ამას თავისთვის და მთელი ერისთვის.

ამ ამბების შემდეგ აკაკი წერეთელი კვლავ გამხიარულდებოდა. რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ენერგიული ზომების წყალობით საქართველოს უკლებლივ დაუბრუნდა 1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილი ხელნაწერები და სამუზეუმო განძეულობა. აკაკი თვალცრემლიანი გადაეხვეოდა ამ სიძველეების დამცველს ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც შეძლო, რომ ქართული კულტურის საგანძური, რომელსაც ეპოტინებოდნენ ფრანგები, გერმანელები და ამერიკელები, არ დაეკარგა საქართველოს.

აკაკი ვერ გაერკვეოდა, თუ რატომ გადმოიგდო თავი გალაკტიონმა მეოთხე სართულიდან.

აკაკის მეტად გაახარებდა, რომ მისი ნაწერები გამოიცა დიდი ტირაჟით, რომ წიგნი და გაზეთი საოცრად იაფია სხვა საქონლის ფასებთან შედარებით. მას დიდ სიამოვნებას და კმაყოფილებას მოგვრიდა, რომ ენახა, რომ ერთ ძველ პროსპექტს თბილისში რუსთაველის სახელი ჰქვია, ხოლო სამ ახალ პროსპექტს — ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველასი.

აკაკის უთუოდ გაახარებდა, რომ მთელ საქართველოს მოედვა სკოლების ქსელი და რომ მის ნაწერს ახლა ყოველი ქართველი კითხულობს.

აკაკი დადნებოდა სიამისაგან, რომ ნახავდა, რომ მისი აკვანი, სადაც მას ნანა ესმოდა, დაცულია სხვიტორში მის სახლში, რომელიც მუზეუმად არის გადაქცეული.

ბევრი რამ გაახარებდა აკაკის განახლებულ საქართველოში, მაგრამ ვერ მოიწონებდა ზოგ რამეს: დაუნდობლობას, მექრთამეობას, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გაუგონარ შემთხვევებს.

რომ ცოცხალი იყოს აკაკი, იგი ვერ დადგებოდა მაამებელთა რიგებში, არამედ უთუოდ თავის ბასრ კალამს აამეტყველებდა ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი უკუღმართი მოვლენის წინააღმდეგ. იგი ვერ უკმევდა გუნდრუკს ყოველივეს, რაც ხდება, არამედ კრიტიკულად შეხვდებოდა პოლიტიკურ ამბებს, რომლებიც შეიძლება ამ სიტყვით გადმოიცეს: ხან ისე და ხან ასეო.

ეხ, აღარა გვყავს აკაკი! ვეღარ წარმოთქვამს თავისი პირით დიდი პოეტი:

**არა, აყვავდეს იმედი,**
**გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!**
**გმირებს დაეძებს, უყივის**
**ჩემი დაფი და ნაღარა.**

ჩვენ დღეს აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავს ვზეიმობთ. მტკიცე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი მოგონება დიდი პოეტისა მრავალი ათასი წლის განმავლობაში დარჩება, ვიდრე თვით ქართველი ერი იცოცხლებს დედამიწაზე.

**აკაკი შანიძე**



**მცირე საწარმოთა და კოოპერატორთა დამოუკიდებელი კავშირი აცხადებს კონკურსს**

1. ყოველკვირეული გაზეთის „საქმიანი სამყაროს" რედაქტორის თანამდებობაზე (სასურველია ეკონომიკური საკითხების ცოდნით).

2. კომერციული ბანკის მმართველის თანამდებობაზე.

სამუშაოდ იწვევს:

გაზეთის კორესპონდენტებს.

მომარაგება-გასაღების სისტემაში — საქონელმცოდნეებს, კომვოიაჟორებს და ექსპედიტორებს.

ანაზღაურება ხელშეკრულებით.

ცნობებისათვის დარეკეთ: 22-22-27. 29-47-59.



# სანამ პირველი ნაბიჯი გადაიდგმება

არც ისე დიდი ხნის წინათ შექმნილმა საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური და ტურისტული ურთიერთობის ასოციაცია „საქართველომ" (გენერალური დირექტორი გოდერძი ბუკია) საინტერესო საქმე ითავა. განზრახულია, ცხენოსნობის ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით, აღორძინდეს სპორტის ისეთი სახეობა, როგორიცაა საცხენოსნო ტურიზმი. საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებით იძლევა ამის საშუალებას — ასე ფიქრობენ ასოციაციაში და, მოიწვიეს რა ამ საქმის სპეციალისტები, შეიმუშავეს საცხენოსნო ტურიზმის განვითარების გეგმა, რომელიც ტურიზმის კომპლექსში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. უკვე შემუშავებულია კონკრეტული ტურისტული მარშრუტები საქართველოს ულამაზეს ბუნებაში უძველესი კულტურის ძეგლების გავლით.

ამ დღეებში ასოციაცია „საქართველოს" მოწვევით თბილისში სტუმრად იმყოფებოდა საფრანგეთის ქალაქ ტოსტედან საცხენოსნო ტურისტული საზოგადოების მმართველი, საცხენოსნო ტურიზმის გამოცდილი სპეციალისტი ბატონი პოლ ლანშე. მისი მოწვევის მიზანი იყო ურთიერთთანამშრომლობა საქართველოში საცხენოსნო ტურიზმის განვითარებისათვის. ასოციაციაში შეხვედრის დროს ფრანგი სტუმარი ყურადღებით გაეცნო საქართველოში ცხენოსნობის განვითარების უძველეს ისტორიას, მის ეროვნულ თამაშობებს — ცხენბურთი, ისინდი, მარულა, დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოში არსებულმა ცხენის ჯიშებმა, განსაკუთრებით ოდითგანვე ჩამოყალიბებულმა და საქართველოს მთაგორიანი ზონის ბუნებრივ კლიმატურ პირობებს შეგუებულმა თუშურმა ცხენმა, რომელიც დედამიწაზე დღემდე შემორჩენილ ჯიშთა შორის აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო.

სტუმარი ეწვია თბილისის იპოდრომისა და ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო სპორტულ სკოლებს, გაეცნო მათ მუშაობას. იმოგზაურა ასოციაციის მიერ შემუშავებული ტურისტული მარშრუტებით მცხეთაში და მის შემოგარენში, ესტუმრა მთა-თუშეთს, თელავს, შუამთას, გრემს, ალავერდს, იყალთოს, ახალციხეს, ვარძიას, ბორჯომს, ბაკურიანს. დაინტერესდა ფოტო და ვიდეო ფირებზე ასახული წალენჯიხისა და სვანეთის მიმზიდველი კოლორიტით, „საქართველოში ტურიზმს და კერძოდ საცხენოსნო ტურიზმს უდავოდ დიდი მომავალი აქვს, — აღნიშნა ბატონმა პოლ ლანშემ თავისი მოგზაურობის დასასრულს. — მსოფლიოს ბევრი კუთხე მაქვს მოვლილი, საქართველოს განუმეორებელმა ბუნებამ ძველი არქიტექტურული ძეგლებით, ისტორიულმა წარსულმა და კულტურამ, თვით ქართველი ხალხის გულითადობამ ჩემზე გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. მერწმუნეთ, ბევრი უცხოელი ტურისტისთვის საქართველო ნამდვილი აღმოჩენა იქნება".

ბატონი პოლ ლანშე აპრილამდე დაემშვიდობა ქართველ მასპინძლებს. მანამდე კი ასოციაცია „საქართველოში" კვლავ გრძელდება მუშაობა იმ გეგმის დასახვეწად, რაც ტურიზმის ამ აღორძინებულ საქმესთან არის დაკავშირებული. გაზაფხულზე პირველი ბილიკი უნდა გაიკვალოს. ბედნიერი გზები დაეკვებოს ასოციაცია „საქართველოს" კვლავაც ეროვნული საქმეების საკეთებლად.

**მარინე მარსაგიშვილი,**
**ასოციაცია „საქართველოს" საინფორმაციო-სარეკლამო სააგენტო „უზბას" განყოფილების გამგე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

# ისტორიული საეკლესიო კრება

**1917 წელს** სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ერის ისტორიაში. 106 წლის განმავლობაში (როგორც ცნობილია, 1811 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გადაასახლეს) ქართული ეკლესია მის კანონიერ საჭეთმპყრობელს — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს აღარ უმართია. ეკლესიის მართვა-გამგებლობა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას ჰქონდა ჩაბარებული, რომელსაც ეგზარქოსი ედგა სათავეში. ეგზარქოსები და რუსი სასულიერო პირები მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რამენაირად გაეძარცვათ და გაეუვლიფად ჩვენი ეკლესია, აღმოეფხვრათ მასში ქართული ენა, წესჩვეულებები... ყოველივე ამის განხორციელება კი ერთ-ერთი მტკიცე ნაბიჯი იქნებოდა იმ შორსგამიზნული პოლიტიკის წარმატებით დასაგვირგვინებლად, რომელსაც ქართველი ერის გარუსება ერქვა, რადგანაც ეკლესიას ოდითგანვე გამორჩეული ადგილი ეკავა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მაშასადამე, ეკლესიის გარუსებითა და გადაგვარებით რუსეთის სასულიერო ხელისუფლება ქართველებს ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ მტკიცე ბურჯს აცლიდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსების მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ ნაწილობრივ მიზანს მიაღწია: ქართველი სამღვდელოების დიდი ნაწილი გაარუსა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, დუნე და ინდიფერენტული გახადა ყოველივე იმის მიმართ, რაც გარშემო ხდებოდა. მათ სინოდისთვის ხელის შეშლა არამცთუ არ შეეძლოთ, არამედ თავიანთი მოქმედებებით სწორედ მის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. მაშასადამე, თავისთავად ისმის კითხვა: რა იყო მიზეზი იმისა, რომ ქართულმა ეკლესიამ გადაურჩა საუკუნოვან ტანჯვა-წამებას, მიუხედავად უამრავი განსაცდელისა, რაც მას ამ ხნის განმავლობაში დაატყდა თავს?

ჩვენი ღრმა რწმენით, ამის მიზეზი ის არცთუ ისე მრავალრიცხოვანი თავგადადებული პატრიოტი სასულიერო პირები იყვნენ, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით ქართული ეკლესიის ბედზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ. დიახ, სწორედ ფილადელფოს კიკნაძის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ყოვლად სამღვდელოების, კირიონის, ლეონიდეს, დავითის, ამბროსისა და სხვა მათდაგვარი ადამიანების განუწყვეტელმა ბრძოლამ და ზრუნვამ იხსნა ჩვენი ეკლესია გარუსება-გადაგვარებისაგან.

საბოლოოდ, ამ პირთა თავდადებამ და მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის სინოდთან წარმოებულმა უთანასწორო ჭიდილმა (აგრეთვე ხელსაყრელმა მომენტმა — 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ) ქართულ ეკლესიას 1811 წელს დაკარგული და ეგზომ ნანატრი ავტოკეფალია დაუბრუნა: 1917 წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში გამოცხადდა ქართველთა სარწმუნოებრივი ცხოვრების განთავისუფლება უცხოტომელთა კლანჭებისაგან.

მაგრამ ერთია გამოაცხადო ავტოკეფალია და მეორე — რეალურად გაითავისუფლო თავი. ამიტომაც მოუხდათ ახლად აღდგენილი ქართული ეკლესიის მესვეურებს თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ბრძოლა იმისთვის, რომ რუსეთის დროებით მთავრობას დაემტკიცებინა „საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობათა ზოგადი დებულებები". ნურავინ ნუ იფიქრებს, თითქოს მხოლოდ ავტოკეფალიის გამოცხადებით ამოიწურა საქმე. ბრძოლას რეალური თავისუფლებისთვის აგრძელებდა საქართველოს ეკლესიის დროებით აღმასრულებელი კომიტეტი კათალიკოს მოსაყდრის, ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს ხელმძღვანელობით. რუსეთის სინოდის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, საჭირო იყო ქართული ეკლესიის საშინაო ცხოვრების მოწესრიგება, დიდი ხნის „ტყვეობის" გამო შეცვლილი და შერყვნილი წეს-ჩვეულებების დაზუსტება-დადგენება და, რაც მთავარია, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევა, რომელიც წარუძღვებოდა მთელი ერის საეკლესიო ცხოვრებას.

ამ საკითხებზე გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე მსჯელობდა ახალგაზრდა ტიციან ტაბიძე და ასკვნიდა: „ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა, ეკლესიის გარდაქმნა შიგნიდან უნდა მოხდეს, უნდა გამოინახოს მისი ძველი საფუძველი, ხელახლა აღდგეს კრებულობა.

ამ შინაგან გარდაქმნისათვის მეტი ბრძოლა და სიმტკიცეა საჭირო, ვინემ სინოდის ჩამოშორებისათვის და ამის შესრულებაზეა დამოკიდებული ქართული ეკლესიის ბედი". („საქართველო", 1917 წ. 8 სექტემბერი, № 198).

ზემოთჩამოთვლილი ამოცანების გადასაწყვეტად დიდი საეკლესიო ფორუმის ჩატარება იყო საჭირო, რომლის ნორმალურად წარმართვისათვის მომზადებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის მზადება ჯერ კიდევ ივლისის თვეში დაიწყო, რისთვისაც სპეციალურად შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი. გადაწყდა, რომ კრება დაწყებულიყო 1917 წლის 8 სექტემბერს. მისი დამთავრების ზუსტი თარიღი მაშინ ცნობილი არ იყო. იმდენი სასწრაფოდ განსახილველი და გადასაწყვეტი პრობლემა დაგროვდა, რომ საეკლესიო კრებამ 17 სექტემბრამდე გასტანა და ჩვენს ისტორიაში ცნობილია 8-17 სექტემბრის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების სახელწოდებით.

აი, რას წერდა საეკლესიო კრებისა და კათალიკოს-პატრიარქის მომავალი არჩევნების შესახებ ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატი რაფიელ ინგილო (ივანიცკი): კათალიკოს-პატრიარქის არჩევა ეგზომ ხნის უცხოთა ბატონობის შემდეგ სამართლიანად უნდა ჩაითვალოს პირველხარისხოვან ეროვნულ-პოლიტიკურ აქტად, რომელიც ძირიანად შეცვლის ეკლესიური ცხოვრების ყოფა-ცხოვრებას და, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ ყოველგვარად ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების გაღვივებას და გაფართოებას.

ამ საერთო ეროვნულ თვალსაზრისითაც საქართველოს აღდგენის განთიადს შეკრებილი საეკლესიო ყრილობა წარმოადგენს ჩვენს ფრიად საგულისხმო მოვლენას! მას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოექცეს ქართველი საზოგადოება და წრფელი გულით უსურვოს კეთილად დააგვირგვინოს დიდი ეროვნული საქმე". („საქართველო", 1917 წ., 8 სექტემბერი, № 198).

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას აღფრთოვანებული მიესალმებოდა „საქართველოს" იმავე 8 სექტემბრის ნომერში ახლავე ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი დავით კასრაძე: „დღეს ჩვენი განთავისუფლებული ეკლესიის განსაკუთრებული დღეა, დღე ამაღლების, დღე — გვირგვინოსნობის! სიონი კვლავ იხილავს მთელ საქართველოს კუთხიდან წარმოგზავნილ შვილთ, მის თალთა ქვეშ ჩამოიკვრება ქართული ზარი, ქართულ ენაზე გაისმება „რომელი ქერუბიმის" ის ხმა, რომლითაც მორწმუნის სული და გული მიჰფრენს ციურ სიონის სამყაროში; დღესვე მწირველია სხვათაგან შერჩეული და ჩვენგან შეყვარებული უსაყვარლესი მწყემსმთავარი ლეონიდე, რუსეთში გადასახლებული წამებულნი და ტანჯვით განსპეტაკებულნი კირიონი, დავით, ამბროსი; დღესვე გახსნილი იქნება პირველი კრება ერთად შემოკრებილი ქართლ-კახეთ-იმერ-ამერთა სამღვდელოების, დღესვე დაიწვნება სამარადისო გვირგვინი ჩვენი ერთობისა, სიყვარულისა და აღმაღლების! ზეე, დღევანდელმა დღემ შეგვაძლებინოს საფიცარის დადება, რომ უმჯობესი იქნეს ჩვენი მშობელი სიონის დანგრევა, ვიდრე მის თალთა ქვეშ როდესმე მაინც უცხო საგალობლის გაგონება".

აი, ასეთი იყო საერთო განწყობილება საეკლესიო კრების წინ. ახლა კი უშუალოდ მისი მიმდინარეობის შესახებ ვისაუბროთ.

საქართველოს საეკლესიო კრება 8 სექტემბერს გაიხსნა. მას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 620 დელეგატი დაესწრო, რომელთა შორისაც იყვნენ როგორც სამღვდელო პირები, ასევე ერისკაცნი, ჯარისკაცები და სხვ. დილით მიტროპოლიტმა ლეონიდემ ჩაატარა წირვა, რის შემდეგაც ამბიონიდან წაიკითხა გუჯარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. სიონის ტაძარსა და ეზოში შეკრებილი უამრავი ხალხი ყურადღებით უსმენდა მას. გუჯარის წაკითხვის შემდეგ მიტროპოლიტმა ლეონიდემ სიტყვით მიმართა ხალხს, რომლითაც, როგორც დამსწრე გვიამბობს „გაახსენებდა... მომენტის ფრიად მნიშვნელობას, მიულოცავდა ხალხს ეკლესიის 100 წლის ტყვეობიდან განთავისუფლებას".

კათალიკოს მოსაყდრის მიერ სიტყვის დამთავრების შემდეგ ივ. რატიშვილმა ამბიონიდან წაიკითხა ძველ ქართულ ენაზე შედგენილი „მეგლის დება". ასეთივე „მეგლის დება" მიტრ. ლეონიდმაც წაუკითხა სამღვდელოებას.

ამ პროცედურის დამთავრების შემდეგ ლეონიდემ საეკლესიო კრება გახსნილად გამოაცხადა.

საღამოს ქალთა საეპარქიო სასწავლებლის შენობაში კერძო თათბირი გაიმართა. აქ ძირითადად საორგანიზაციო საკითხებზე იყო მსჯელობა. აირჩიეს სამანდატო კომისია.

9 სექტემბერს, 12 საათზე სიონის ტაძარში გაიხსნა სხდომა მიტრ. ლეონიდეს თავმჯდომარეობით. მან წარმოსთქვა სიტყვა და დელეგატებს ნაყოფიერი მუშაობა უსურვა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ: ეპ. ანტონი, დეკ. კ. კეკელიძე, გ. ჟურული, სპ. კედია. მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილი, რაფ. ჩხოტუა და ტრ. ჯაფარიძე; მდივნებად დაასახელეს: პ. ინგოროყვა, ი. ცინცაძე, კ. გაწერელია, ალ. გორგაძე და ლ. წულაძე. საეკლესიო კრების საპატიო წევრებად აირჩიეს: ეპ. კირიონი, ეპ. დავითი, პროფ. ალ. ცაგარელი, ნიკ. დურნოვო და სენატორი, პრივატ-დოცენტი ზ. ავალიშვილი.

დილის სხდომაზევე დელეგატებს გააცნეს ბერძნების, სომხების, რუსებისა და სხვა არაქართველების მიერ კრებისათვის გამოგზავნილი მისალოცი დეპეშები.

საღამოთი წაიკითხეს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისა და სინოდის ობერ-პროკურორ კარტაშევისაგან მოსული მისალოცი ტელეგრამები. ამ უკანასკნელმა ხალხის აღშფოთება გამოიწვია, რადგან მასში ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე ისევ ქართველ მიტროპოლიტად იყო გამოცხადებული.

დაძაბულობა გაიფანტა არქიმანდრიტ ამბროსის მიერ აფხაზეთიდან მოსული მისალმების წაკითხვის შემდეგ, სადაც ქართველი და აფხაზი ხალხების ურღვევ ისტორიულ ძმობაზე იყო ლაპარაკი. იგივე საკითხზე ისაუბრა დელეგატმა ჩხოტუამაც.

ამავე საღამოს კრებას მიესალმა უდინების ეკლესიის დელეგაცია, რომელთაც საქართველოს ეკლესიასთან შეერთების სურვილი გამოთქვეს.

კრების მე-3 დღე, რომელსაც გ. ჟურული თავმჯდომარეობდა, საქართველოს ეკლესიის საორგანიზაციო წესდების განხილვას დაეთმო. წესდებას დეკ. კ. კეკელიძე იცავდა. ყველაზე ცხარე კამათი მეექვსე მუხლმა გამოიწვია, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ეკლესია 13 ეპარქიად უნდა ყოფილიყო დაყოფილი. ამ მუხლს მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ (იპ. ვართაგვა, მ. გორგაძე), რომლებიც ამტკიცებდნენ, საქართველოს ეკლესია მეტად ღარიბია და ამდენი ეპარქიის შენახვას ვერ შესძლებსო.

მეექვსე მუხლის დამცველად გამოვიდა ა. ნატროშვილი, რომელიც გამოსავალს რუსეთის მიერ საქართველოდან წაღებული საეკლესიო ქონების უკან დაბრუნებაში ხედავდა. გარდა ამისა, იგი ხაზს უსვამდა თვით ეპარქიების გეოგრაფიულ-ისტორიულ მნიშვნელობას.

საბოლოოდ, მეექვსე მუხლი ხმათა უმრავლესობით უცვლელად მიიღეს.

14 სექტემბრის სხდომაზე დღის წესრიგში დადგა უაღრესად აქტუალური საკითხი — გურიის დელეგაციამ მოითხოვა მათი ეპარქია გამოყოფოდა სამეგრელოსას და საკუთარი ეპისკოპოსი დაენიშნათ ბათუმში. მათ მოთხოვნას გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს ყოვლად სამღვდელოებმა: კირიონმა, ლეონიდემ და ანტონმა. მოწინააღმდეგედ გამოვიდა მიხეილ მაჩაბელი. ამ საკითხის შესახებ კამათმა დიდხანს გასტანა. ბოლოს, პ. ბარათაშვილის წინადადებით იგი გასარჩევად კომისიას გადაეცა.

15 სექტემბერს დეკ. კ. კეკელიძემ წაიკითხა ვრცელი მოხსენება ღვთისმსახურებისა და სამღვდელოების შესახებ. მისი აზრით, საკათალიკოსო საბჭოსთან უნდა დაარსებინათ განსაკუთრებული „საღვთისმსახურო კომისია", რომელსაც ღვთისმსახურების გამარტივება ევალებოდა; საეკლესიო წიგნების საბეჭდად უნდა შემოეღოთ მხედრული ანბანი; სასულიერო პირთათვის არ იყო აუცილებელი ეკლესიის გარეთ ანაფორით სიარული; მათთვის არც გრძელი თმა-წვერის ტარება იყო სავალდებულო.

ამ მოხსენების შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი. ახალგაზრდა მღვდელმსახურნი და ერისკაცნი დაეთანხმნენ მომხსენებელს. წინააღმდეგნი იყვნენ მიტრ. ლეონიდე და ეპ. ანტონი, მაგრამ კ. კეკელიძის მცირეოდენი განმარტების შემდეგ დამსწრეთა უმრავლესობამ მისი ყველა თეზისი დაადასტურა.

17 სექტემბერი კრების კულმინაციური მომენტი იყო — ამ დღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი აირჩიეს.

არჩევნები დილის 10 საათზე დაიწყო გ. ჟურულის თავმჯდომარეობით. სიონის ტაძრის გალავანში დელეგატების გარდა არავის არ უშვებდნენ. კენჭისყრა შუადღისას დასრულდა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კათალიკოსის არჩევანში 440 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ყუთი დაედგა 2 კანდიდატს: მიტრ. ლეონიდესა და ეპ. კირიონს. ამ უკანასკნელმა მიიღო 12 ხმით მეტი და ამიტომ იგი აღიარებული იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქად. ეს ამბავი მაშინვე ეცნობა ორივე მღვდელმთავარს. მიტრ. ლეონიდემ სიტყვით მიმართა ახლადარჩეულ კათალიკოსს, მიულოცა გამარჯვება და შეჰფიცა, მთელი არსებით დახმარებოდა საქართველოს ეკლესიის საქმეების გაძღოლაში. კირიონმა მადლობა გადაუხადა ლეონიდეს და თვითონაც დაიფიცა „გამკეცებულის ძალით ებრძოლა ეკლესიის საქმეთა დასაგვირგვინებლად".

შემდეგ გადახდილ იქნა სამადლობელი პარაკლისი. მისი დამთავრების შემდეგ კირიონს ხალხის წარმომადგენლებმა მიულოცეს კათალიკოსად არჩევა. განსაკუთრებით ამაღელვებელი ყოფილა გიოსელიანის სიტყვა, რომელსაც კათალიკოსისთვის დღეგრძელობა უსურვებია და შეუფიცავს, რომ ამ ამბავს საფლავში ჩაიტანდა და ერისა და ეკლესიისათვის წამებულ მებრძოლებს გაახარებდა.

ხალხმა საზეიმო მსვლელობით მიაცილა კირიონ II ბინამდე. როგორც „საქართველოს" კორესპონდენტი გვაუწყებს, „კორტეჟს მეტად საზეიმო ხასიათი ჰქონდა და მარად დაუვიწყარი დარჩება მნახველის ხსოვნაში". („საქართველო", 1917 წ., 19 სექტემბერი, № 205).

„საქართველო" 19 სექტემბერს აქვეყნებდა საქართველოს ეკლესიის მმართველობის სიას და მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს: ტბილელ მიტროპოლიტად დარჩა ლეონიდე, ქუთაისის მიტროპოლიტად — ეპ. ანტონი, ჭყონდიდის მიტროპოლიტად აირჩიეს არქიმანდრიტი ამბროსი, გორის ეპისკოპოსად — ეპ. დავითი და ალავერდისა — ეპ. პიროსი. ამას გარდა, არჩეულ იქნა საკათალიკოსო საბჭო, რომელშიც შევიდნენ: დეკ. კ. კეკელიძე, დეკ. კ. ცინცაძე, დეკ. ნიკ. თალაკვაძე, მ. მაჩაბელი, პ. გოთუა, გ. გვაზავა, ი. ვართაგავა, პ. მახათაშვილი, პ. ინგოროყვა, რ. ივანიცკი (ინგილო), თ. სახოკია, ქრ. კაპანაძე.

1 ოქტომბერს, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, კირიონ II საზეიმოდ აკურთხეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებასა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ნათელი დადასტურება იყო იმისა, რომ ქართველ ხალხს თავისუფლებისაკენ სწრაფვა არასოდეს შეუწყვეტია.

**ბოჩა საითიძე.**
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.**



ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

# აღორძინება–არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".


ეროვნული ბიბლიოთეკა


## საქართველოს კომერციული ინფორმაციის ბანკი

## „კ ა ვ კ ა ს ი ა"



ორი წლის მანძილზე თქვენს წინადადებებსა და კომერციულ სურვილებს გააცნობს უცხოეთის 5000 და კავშირის 20 000 ფირმას. ეს თქვენ საშუალებას მოგცემთ იპოვოთ მომარაგების ახალი წყაროები და პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრები.



### რას წარმოადგენს კომერციული ინფორმაციის ბანკი?

ეს არის მძლავრ კომპიუტერულ ტექნიკაზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემა, რომელშიც ჩაწერილია მასში შემავალი ფირმების შესახებ სრული ინფორმაცია: რას ყიდის? რას ყიდულობს? რა ტიპის კონტაქტებს ეძებს და ა. შ. კომპიუტერი სწრაფად გიპოვით თქვენთვის სასურველ ვარიანტებს. ბანკით მოსარგებლე ფირმებს საშუალება ექნებათ მრავალთაგან საუკეთესო, მათთვის ხელსაყრელი ვარიანტი აირჩიონ.

**ხელშეკრულების გასაფორმებლად მიმართეთ მისამართზე: რუსთაველის 23, I სართული. სამეცნიერო ცენტრი „აია". ტ: 98-31-89**

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"**



### იყიდება

კომპიუტერი, რომელიც ამზადებს პორტრეტებს კომპიუტერული გრაფიკით. კომპიუტერის წარმადობაა - პორტრეტი — 2 წთ.

ჩვენი მისამართია: **თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1, კოოპერატივი „სავანე".**

ტელ: **37-58-25 (11.00** სთ-დან **16.00** სთ-მდე).

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"**

### გვესაჭიროება

1 ოთახი ქალაქის ცენტრში პირველ სართულზე (სასურველია ტელეფონით) კომერციული საქმიანობისათვის.

გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: **37-58-25** (14.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე), ან მობრძანდეთ მისამართზე: **ბუდაპეშტის ქ. №1** (14.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

### კოოპერატივი „სავანე"

კერძო ავტომანქანების მფლობელებს სთავაზობს მოსახლეობის მომსახურებას. გადასახადი თვეში 30 მანეთია.

ჩვენი მისამართია: **თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია, წითელი ჯიხური წარწერით „სავანე" (9.00** სთ-დან **18.00** სთ-მდე).

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"**

### გვესაჭიროება

მცხობელები საზეიმო სუფრის ნამცხვრებისა და ტორტების გამოსაცხობად.

ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: დავით გურამიშვილის გამზირი (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი) №75 და №77 კორპუსებს შორის მდებარე წითელი ჯიხური წარწერით „სავანე". ტ 62-19-74 (19.00 სთ-დან 20.00 სთ-მდე).

ასევე მოსახლეობას სთავაზობს სხვადასხვა სახის ნამცხვრებს ამავე მისამართზე 8.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

### საპატენტო სააგენტო „ალვა"

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს ერთიანი, ორგანიზაციების სახელწოდების და ემბლემების სარეგისტრაციო კატალოგი. ინფორმაციის თემოყრა ხორციელდება ასოციაცია „ქასესის" და ფირმა „არგოს" ერთობლივი საპატენტო სააგენტოს „ალვას" კომპიუტერულ ბაზაზე. სააგენტო „ალვა" რეგისტრირებულია საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ.

კატალოგი დგება მაღალკვალიფიციური ექსპერტების მონაწილეობით, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. საფუძველი ეყრება საერთაშორისო სარეგისტრაციო ქვესამსახურს საქართველოში.

თუ გსურთ, თქვენი ორგანიზაციის ემბლემა და სახელწოდება საქართველოს ტერიტორიაზე არ გაიმეოროს სხვა ორგანიზაციამ, მოგვმართეთ! საპატენტო სააგენტო „ალვა" თქვენს ემბლემასა და სახელწოდებას შეიტანს ზემოაღნიშნულ კატალოგში.

მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი. ანაგის №7. შრომის სასახლე, 12 სართული. ტელეფონი: 38-01-96

სარეკლამო სააგენტო „არგო—ბლიკი"

### ვიზების სათარგმნად და ანკეტების შესავსებად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევსს", რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 35-18-27 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზ. №74

სარეკლამო სააგენტო „არგო—ბლიკი"



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი **მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.